

ქეთო ნინიძე, დათო ბარბაქაძე
გაგრძელება

მერწყული

Keto Ninidse
Dato Barbakadse
FORTSETZUNG

გამომცემელი: დათო პარბაძაძე

გამოიცა გამომცემლის ხარჯით

პირველი გამოცემა

ISBN 978-9941-0-3977-5

ქეთო ნინიძე
დათო ბარბაქაძე

გაგრძელება

მერცხული
თავისი
2012

27.11.2007

(...) "სათქმელისგან დისტანცირებას ვერ ახ-
დენო"?? ეს ვერ გავიგე, იმიტომ, რომ შეიძლე-
ბა ფორმისგან კი... მაგრამ სათქმელისგან, მგო-
ნი, ვახდენ.

მაგრამ შენიშვნები მიყვარს და ყოველთვის
მოვისმენ სიამოვნებით...

ქეთო

27.11.2007

(...) რაც შეეხება ჩვენი ლიტერატურული
საუბრის გაგრძელებას, გმადლობ ნდობისთვის.
რაკი, როგორც ამბობ, შენიშვნები გიყვარს, ვე-
ცდები ჩემი შენიშვნები შენი საყვარელი შენიშ-
ვნების კოლექციაში არ მოხვდეს. სათქმელთ-
ან დისტანცირების შეუძლებლობაში ვიგულის-
ხმე ახალბედა ლიტერატორებში (განსაკუთრე-

ბით სწორედ პოეზიაში) გავრცელებული ფსიქ-ოლოგიური სიტუაცია, როცა სათქმელი ემოციურად იმდენად გულწრფელი და ნამდვილია, რომ თვით ეს გულწრფელობა გადაიქცევა ხოლმე სათქმელის მნიშვნელოვნების გარანტად. მე შენთან სწორედ ასეთი აღრევის გაბატონების საშიშროებას გავუსვი ხაზი, რაკი ჩავთვალე, რომ სწორედ ეს არის შენთვის პრობლემური საკითხი. სულ ეს იყო. სათქმელი, რომლის გამოთქმა ჩვეულებრივ საკომუნიკაციო შრეზე მნიშვნელოვანია, პოეზიაში შეიძლება მოკლებული იყოს ასეთ მნიშვნელობას. ეს განსაკუთრებით ეხება სოციალური ფონით გამოწვეულ, ლოკალურ კონტექსტში აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც უბრალოდ გვთრგუნავს და ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს. ამ დროს პრობლემის აქტუალობას ვეჯაჭვებით და გვგონია, რომ ჩვენი გულწრფელი რეაქციები სათქმელის განზოგადებასაც ხელს უწყობს. არადა, სწორედ რომ პირიქით! რაც დრო გადის, ჩვენს მიერ "აღმოჩენილი" ამა თუ იმ პრობლემის იმდენ ახალ პრობლემურ მხარეებს ვხედავთ ხოლმე, რომ რაღაც დროის მერე ჩვენვე გვეღიმება ჩვენს მიამიტობაზე. ვაზუსტებ: ეს განსაკუთ-

რებით სოციალური კონტექსტის მხატვრული თემატიზების დროს ხდება. ამიტომ არის, რომ ძლიერ პოეტებთან სოციალურს ყოველთვის იქვემდებარებს მეტაფიზიკური. შენი სათქმელი ჯერჯერობით იმით შემოიფარგლება, რომ მკითხველმა მკაფიოდ დაინახოს, რა მოგწონს და რა არ მოგწონს. შენი კრიტიკა სწორხაზოვანია, ეხება იგი მოსაწყენ ადამიანებს თუ სრულიად შემთხვევით გამვლელებს, ეს კრიტიკა წინ წამოწევს შენს სურვილს, ხაზი გაუსვა შენს განსხვავებულობას მათგან, რაც პოეზიაში თითქმის არაფერს ნიშნავს. იმ სათქმელთან დისტანცირება, რომელიც შენი ლექსების შინაარსს ქმნის, გულისხმობს შენს მიერ უკვე არაერთხელ თქმულის აღარგამეორებას, ეს კი, დარწმუნებული ვარ, შეამცირებს ბანალურ მეტაფორებს და "არახრახებულ სიცარიელეებს", რომლების-განაც შენ საიმედოდ განსხვავდები, რაშიც ეჭვი არ მეპარება. შენ გინდა, რაღაცის შესახებ მოუყვე კიდეც წარმოსახულ მკითხველს და არც მოუყვე. გულწრფელიც გინდა იყო და აბსტრაქტულიც. ამის მისაღწევად დიდი შინაგანი გამოცდილება და თუნდაც პირწმინდად დიდი ოსტატობაა საჭირო. ეს ჰაეროვანი მეტყველე-

ბით არ მოვა, უნდა ეცადო ლექსებში შენისამეტყველო ენა დაშალო, დაფანტო, გადაკარგო, მერე კი ისევ შეაგროვო. რაც შეგრჩება ამის მერე, რასაც დაიბრუნებ, მართლა შენი იქნება. შენ ეს სამუშაო ჯერ არ ჩაგიტარებია. პოეზია უმანკო ხედვას ვერ იტანს, შენ კი სწორედ ხედვის უმანკოების დაცვას ცდილობ. როცა ლექსზე მუშაობას, უკეთ პოეზიაში მუშაობას იმაზე მეტ დროს დაუთმობ, ვიდრე ამას უბრალოდ სასიამოვნო და უსიამოვნო გარემოებების ერთმანეთთან შეპირისპირება მოითხოვს, მაშინ შენი ლექსები სათუთი და იმავდროულად მშრალი, ყველა რისკისგან და გაბედულებისგან დაცული თხრობიდან პოეზიისკენ გადაიხრება. მაშინ თემატური ერთფეროვნება და გავრცელებული ახალგაზრდული მოტივები ადგილს დაუთმობს რთულ და გაბედულ ძიებებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩემი აზრით.

გიგზავნი "ამერიკელ პოეტებს". არ ვიცი, წაკითხული გაქვს? ალბათ, წიგნად კიდევ დიდხანს ვერ გამოვცემ.

საუკეთესო მოკითხვით, დათო

28.11.2007

დათო, დიდი მადლობა წერილისთვის და კრ-ებულისთვის... აქედან რამდენიმე ავტორი წა-კითხული მქონდა ძველ "არილში" თუ "ახალ თა-რგმანებში" ოლონდ ზვიად რატიანის თარგმანი.

ძალიან ნაკითხი არ ვარ, მაგრამ მე არ ვფიქ-რობ, რომ პოეზია მარტო ემოციაა და კითხვა არ სჭირდება; ამიტომ, ვცდილობ, რომ გავეც-ნო რაღაც-რაღაცებს.

ჩემი ენა, ვცდილობ, რომ იყოს გადაუტვირ-თველი და სადა. გულწრფელობას რაც შეეხე-ბა, ეს, ალბათ, ჩემი ამ ეტაპის ფორმაა... სხვა ეტაპზე, შეიძლება, შეიცვალოს. თანაც, გემ-ოვნებაზე არ დავობენ, ზოგს ძალიან მოსწონს და მეუბნებიან, რომ მათს საფიქრალსაც გად-მოსცემს, განსაკუთრებით ჩემი თაობის ადამი-ანებს... ვისაც ბავშვობაში არახრახებული სი-ცარიელის იავნანები მოუსმენია.

შემოქმედება ხომ ძალიან მოსაფრთხილე-ბელია, თვით ისეთ ადამიანებთან, რომლებიც ძალიან "სუსტად" წერენ, ან თავისი ცხვირის იქით ვერაფერს ამჩნევენ. მე მგონი, მე ასეთი არ ვარ. ამიტომ, თუ პოეტი არ მოგეწონება, შე-

ნიშვნების მიცემას აზრი არა აქვს, ჩემი აზრით. მე ამ ეტაპზე ასე ვხედავ და ასეთი ფორმაა ჩე-მთვის მოსახერხებელი. და ჩემს ლექსებში გუ-ლწრფელობა თუ ბევრს ყველაზე მეტად უყ-ვარს, ამის გამო არ ვფიქრობ, რომ ეს ფორმა უნდა მოვირგო.

ქეთო

29.11.2007

ქეთო, მემგონი გაგაბრაზე, მაგრამ არაუშ-ავს. დარწმუნებული ვარ, რაღაც დროის მერე ისევ გადაავლებ თვალს ჩემს "შენიშვნებს" და ნახავ, რომ მას შენიშვნებთან არაფერი აქვს სა-ერთო. იმას ხომ მაინც ხედავ, რომ გულდასმ-ით მოვეპყარი შენს ლექსებს და მის გვერდით არ ჩამიქროლია. რა თქმა უნდა, ისეთ ლექსებს, როგორსაც შენ წერ, ისეთი გოგონები ვერ დაწ-ერენ, რომლებიც საკუთარი ცხვირის იქით ვე-რაფერს ამჩნევენ. ეს მე პირდაპირ არ მითქვ-ამს, მაგრამ ხომ იგრძნობა ჩემს უსტარში.

პოეზია მარტო ემოციაა კი არა, საერთოდ არაა ემოცია. პოეზია იქინყება, სადაც ემოცია

მთავრდება. ეს სიტყვებით თამაში არაა.

ძალიან ნაკითხი არც მე ვარ. ისიც ძალიან მეტვება, რომ პოეზია მიყვარდეს.

...ხოლო თუ პოეტი მოგეწონება, მაშინ დიდი სურვილი გიჩნდება, რომ მისგან მართლა დადგ-ეს პოეტი.

დათო

20.03.2008

ხომ არის ხოლმე დროები, როცა გვინდია, რომ ვერაფერს ღირებულს ვერ იძენ... ბოლო დროს ორმა რაღაცამ გამამდიდრა: შენმანიგნმა (კითხ-ვები და სოციალური გარემო, წავიკითხე უკვე არა როგორც უნივერსიტეტის სტუდენტმა) და წითელ ზონაში ერთმა ახალგაზრდა რეჟისორ-მა (თვითმფრინავის გატაცებაზე ფილმი გადა-იღო და რევოლუციის პერიოდში სთხოვეს ფილ-მის პოლიტიკურად გაპოპულარულება და არ დათანხმდა):)

ერთ-ერთ თანამედროვე პოეტზე რასაც წერ, მეც მქონია ეგ და მე მგონი ყველას, ვისაც გვეშინია, რომ ერთხელ უინტერესო არ გავხდ-

ეთ... ამიტომ თანამედროვეობას ვერგებით, მა-
გრამ ეს ძალიან არაცნობიერი მგონია...

დათო, ენცენსბერგერის ბიოგრაფია ან სტა-
ტიები მის შესახებ თუ გაქვს, გადმომიგზავნე:)
დიდი მადლობა, ქეთო

21.03.2008

გმადლობ, ქეთო, გმადლობ. ენცენსბერგე-
რის შესახებ ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევის
დაწერას ვგეგმავ (მასალებიც მრავლად დავა-
მუშავე), მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოვიცალე,
იმდენი სხვა საქმეა. მცირე, მაგრამ ტევადი ინ-
ფორმაციების მოპოვება კი ინტერნეტში შეიძ-
ლება (მგონი, ყველა ენაზე, ქართულის გარდა).

იმის საუკეთესო მაგალითი, როგორ არ შეიძ-
ლება მწერალმა პოლიტიკური კონიუნქტურა
თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, ჩემთვის გი-
ვი მარგველაშვილია. ის ბევრი სხვა მიზეზის გა-
მოც არის ჩემთვის მაგალითი, მაგრამ ეს ერთი
უნიკალური მხარეა მისი ბიოგრაფიის. სხვათაშ-
ორის, ენცენსბერგერიც ამის გამო მიზიდავს:
ყველაფერი, რასაც ის ახალგაზრდობიდან მოყ-

ოლებული აკეთებდა, პოლიტიკასთან იყო და-კავშირებული, მაგრამ ლიტერატურის და კულ-ტურის პოლიტიკის საზღვრებიდან არ გასულა, მას არასდროს მოუნდომებია პოეზიაში იდეო-ლოგის შემოტანა. ის ყოველთვის იყო ანგაუირ-ებული პოეტი, მაგრამ არა – პოლიტიკური; თუ-მცა, მას კონტექსტიც შესატყვისი "ერგო". დას-ავლეთში პოლიტიკოსების თოკზე გამობმულ მაინუნად ყოფნა ერთადერთი გზა სულაც არ არის ფიზიკური არსებობის გადასარჩენად და საყვარელი საქმის საკეთებლად. ყველაფერ-თან ერთად, დასავლეთში მწერალს განათლე-ბა იცავს პოლიტიკასთან ურთიერთობის მოწე-სრიგების დროს. როცა ენცენსბერგერის ეს სე-ებს კითხულობ, ტკბები არა მხოლოდ მისი ცო-დნის მასშტაბებით, არამედ – პირველ რიგში – იმ სიღრმით, რომლითაც მის შემთხვევაში ცო-დნის გამოყენების კულტურაა აღბეჭდილი.

რაც შეეხება შიშებს, უინტერესოდ გადაქ-ცევის შიში ხომ ასობით სხვა შიშს შორის ერთა-დერთი სულაც არ არის. პოეტისთვის ეს ყველ-აფერი (მასშიც და მის გარეთ მიმდინარეც) მხო-ლოდ თემებია, რომლებიც უნდა დამუშავდეს. არაცნობიერი იმდენია, რომ ვერ გამოვედევნ-

ებით. ეს გზა მითოლოგიების კვლავნარმოების უსასრულო პროცესია, რაშიც, რა თქმა უნდა, ტკბობის უგემრიელესი წყაროები იღვრება. ლი-ტერატურისთვის, როგორც სისტემისთვის, უფრო მნიშვნელოვანი ყოველთვის ისაა, რაც მოკალმის ცნობიერის შრეზე ამოდის და სამოქ-მედო გეგმებში ერთვება. "საქმემან შენმან გა-მოგაჩინის შენ". ყველაფერი დანარჩენი ფსიქო-ლოგიაა, რომელიც მაშინ ხდება აქტუალური, როცა თვით ავტორია საინტერესო. ყველა ჯუ-რის ეშმაკური აქტივობა საიმისოდ, რომ მკითხ-ველი შენით დააინტერესო, კრახით მთავრდება. ეს იოლად მისაწვდომი ცოდნაა ნიჭიერთათ-ვისაც და უნიჭოთათვისაც. მაგრამ ჩვენი დრო ცნობილია ადამიანის განსაკუთრებული სითავ-ხედით – თავის ხელთ არსებული ყველა ულირ-სი შესაძლებლობა გამოიყენოს ამა თუ იმ კონტ-ექსტრი თავის დასამკვიდრებლად. თავხედობაც (განსაკუთრებით უნიჭოთა შემთხვევაში) ყველა მიმართულებით ენერგიის მობილიზებას მოითხოვს. ჩვენს მოკალმეებს (მარიფათიან-ებს და, როგორც წესი, ძალიან აგრესიულებს, როგორიც შენს მიერ ნახსენები მოკალმეა) ერ-თი დამატებითი ნიშანი აქვთ მკითხველის მოს-

ატყუებლად კარგად დამუშავებული პრაქტიკ-ის სახით: პირადი აქტივობის კვალის წაშლის ტექნიკა. უმარტივესი მაგალითი: აკლებული გყავს ყველა ნაცნობი უურნალისტი, რათა შენგან აიღონ ინტერვიუ, შენზე დაწერონ სტატია, შენ დაგევითხონ აზრს. უფრო ფაქტზადაც მოქმედებებს: იყენებ სიტუაციებს, რომ სწორედ შენზე დაწერონ რეცენზია; ცდილობ იგივე მეთოდებით მედიაში ფეხის მოკიდებას და ა. შ. პარალელურად კი მუშაობ მკითხველების და მთლიანად კონტექსტის დასარწმუნებლად, რომ აქტივობა სხვებისგან მოდის: რომ უურნალისტმა დაგირეკა და გთხოვა ინტერვიუ; რომ ტელევიზიოდან დაგირეკეს და მიგინვიეს გადაცემაში; რომ, ბოლოსდაბოლოს, სადღაც საფრანგეთში ვიღაცას სწორედ შენი ლექსები დაესიზმრა, შენი სახელიც და გვარიც ჩაესმა და ახლა შეშლილივით თარგმნის შენს ლექსებს (დარწმუნებული ვარ, ოდესმე აქამდეც მივა საქმე). ალბათ, ხვდები, რომ ამ დროს ყველაფრისთვის იცლის ადამიანი გარდა პატიოსანი შრომისა. მაგრამ პროდუქციაც ხომ საჭიროა! ესეც არ არის გადაუჭრელი პრობლემა: ვარიაციები, ვარიაციები და კიდევ ერთხელ ვარიაციები! რა თქმა უნდა,

გამარტივებული, გაღარიბებული, უგემოვნო; რა თქმა უნდა, მეორადი საქონელი... მოქმედება კი საქართველოში ხდება, სადაც ავანტიურა კარგად მუშაობს, ავანტიურის უკან ყველას მაღალი აზრები, სიღრმე და, ამის საპირისპიროდ, საკუთარი გონიერი უსუსურობა ეჩვენება, რაც ლიტერატურული კრიტიკა არ არსებობს და ყველაფერი ერთ ქვაბში იხარშება... მეზარება ამ მოსაწყენ თემაზე საუბრის გაგრძელება...

პოლიტიკურ კონიუნქტურაზე საკუთარი თავის მორგებისკენ ხელოვანს, ძირითადად, ორი გარემოება უბიძგებს: მატერიალური სიდუხეჭირის შიში და აზრობრივი სიდუხეჭირე. მატერიალური სიდუხეჭირის შიში თუ გამდიდრების სურვილთანაც არის გადაწყვლი (ადრე თუ გვიან, აუცილებლად გადაეწვნება), ხელოვანის ყველა შემდგომი ქმედება მავნებლობის პირდაპირ ან ირიბ პროცესად გადაიქცევა. ხოლო როცა ამ ყველაფერს "ხელოვანის" აზრობრივი სიდუხეჭირეც ემატება, მავნებლობის მასშტაბები კატასტროფულ ხასიათს იძენს. აბა, წარმოიდგინე ბევრად უარესი: რა ხდება იქ, სადაც ხელოვნების მოღალატე ან უნებისყოფო ხელო-

ვანს კი არა, უნიჭოთა და პლაგიატორთა ავანტიურას და მონოპოლიას ეხება საქმე.

ჰო, მართლა: **კომუნისტური არქაიკა** მარჯანიშვილის თეატრის კატაკომბებში. დაუვინყარია!

25.03.2008

დათო, დიდი მადლობა საინტერესო წერილისთვის. შენს ლექსებს ეტყობა ჰიმნოგრაფიის გავლენა და მახსოვს კიდეც, მგონი, რომ მითხარი, ჰიმნოგრაფიის შესწავლით დავიწყე მუშაობაო. დიპლომი ჰიმნოგრაფიაზე დავიცავი, შინაარსობრივ სტრუქტურებში ასიმეტრიის შემთხვევებზე, მაგრამ მაშინ მოვალეობა მოვიხადე იმიტომ, რომ აზრზე არ ვიყავი სემიოტიკის და მსგავსი მეთოდოლოგიების და კვლევა აღარ გავაგრძელე (ზედაპირული ცოდნით ვეღარ გავნვდი). ისე, საკითხი საინტერესო იყო... შენს ლექსებში ისეთი ფორმულები ვიპოვე, როგორც ჰიმნებში. ასეა ხოლმე ფუგებში — თემების გაშლა და ნაწარმოების ბოლო პასაუში ინტენსივობის შეკუმშვა. არ ვიცი, ეს რამდენად ცნობიერია მარჯანიშვილის შესწავლის განვითარების და მიმდევად მოვალეობის განვითარების მიზანისთვის.

რად გაქვს გაკეთებული :)

ლექსი არ დამინერია დიდი ხანია. შეგროვების ჟამი მაქვს :))) სულ შენი ბრალია — მეშინია შენი ნაწერების გავლენის ქვეშ არ მოვექცე, ამის დიდი ალბათობა არსებობს.

პატივისცემით. ქეთო

26.03.2008

კი, ასე იყო: თუ არ ვცდები, თორმეტი თუ ცამეტი წლის ვიყავი, მიქელ მოდრეკილის ჰიმნების სამი უზარმაზარი წიგნი რომ გამოვიდა, ღირდა 19 მანეთი. ძალიან ძნელი იყო ხელით გადაწერილი ტექსტების კითხვაც და გაგებაც, მაგრამ რაღაც უცნაურად მიზიდავდა ეს ყველაფერი. თუმცა, ამ გამოცემამდე მაინც პავლე ინგოროვას "ძველქართულმა სასულიერო პოეზიამ" მიმიყვანა. გავლენას გავურბოდი კი არა, თავით ვიყავი გადაშვებული. ჩემი ლექსების ჰირველ წიგნში ეს გავლენა ზედაპირულია, მერე და მერე სილრმისკენ მიდის და როგორც წყალში შაქარი, ისე იხსნება. ერთი კი შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა: არც ერთ იმ სამუშაოს,

რომელიც ქართული ჰიმნების კითხვის და შტუ-
დირების დროს ვატარებდი, უკვალოდ არ ჩაუ-
ვლია. სხვათაშორის, ჩემი ლექსების სამ მეოთ-
ხედზე მეტის რიტმული სტრუქტურა, რაც ჩემს
ესთეტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია, ძველი
ქართული ჰიმნების მუსიკალური მდინარებით
არის დავალებული, საქმეში ჩახედული სპეცია-
ლისტი ამას თვალის ერთი გადავლებითაც შენი-
შნავს; ამიტომ არ მიკვირს, ეს კავშირები იოლ-
ად რომ დაიჭირე მას მერე, რაც ქართული ჰიმ-
ნოგრაფიისთვის შესწავლისთვის ამდენი დრო
დაგითმია (ისე, შენს დიპლომს სიამოვნებით წა-
ვიკითხავდი). ეს იყო ყველაზე ნაყოფიერი სამ-
უშაო იმ სამუშაოებს შორის, რომლებისთვისაც
ოდესმე დრო დამითმია. მე ჰიმნებშიც და ჰაგი-
ოგრაფიულ ძეგლებშიც ყოველთვის იმ შინაგანი
გრამატიკით ვიყავი დაინტერესებული, რომელ-
იც ნებისმიერი გამოვლენილი, ზედაპირზე ამო-
სული რიტმიკის მთლიანობას უზრუნველყოფს.
არც ერთ ნაშრომში ლინგვისტიკაში თუ სემიოტ-
იკაში, რომლებსაც მერე გავეცანი, ჩემი შინაგ-
ანი გამოცდილება ასე არ გაუმდიდრებია. შენს
მიერ აღნიშნული "ფორმულა" ჩემი პოეზიის ანი
და ჰოეა. საიდუმლო არ არის, რომ ამ ფორმულ-

ის გამოყენებით, ზედმეტი ენერგიის გარეშე, ვახერხებ პოეტური ტექსტის გადასროლას ეპიკური დინებით (რაც, ასევე, ჩემი ერთ-ერთი მთავარი სამუშაოა), ეს კი ბევრ დროს მითავისუფლებს საიმისოდ, რომ წერის პროცესში მთლიანად სათქმელზე ვიყო კონცენტრირებული. შეიძლება სასტიკად ვცდებოდე, მაგრამ მთელი ამ შრომის სასიკეთო შედეგებმა მთელი ძალით (ანუ ისე, როგორც ყოველთვის ვოცნებობდი) ერთადერთ ლექსში ამოხეთქა, რომელსაც "ციურიხი" ჰქვია და რომელსაც შვაიცში ზუსტად ორმოცი დღე ვწერდი (ტექსტის აღწერა მოცემულია კატალოგში, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში გამოვეცი). ისე კი, გამოგიტყდები, სემიოტიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები უკვე ნაკლებად მაინტერესებს და ჩემს თავს ვიჭერ იმაში, რომ ამ ლიტერატურას ისეთი სიამოვნებით ვეღარ ვკითხულობ, როგორც სტუდენტობის პერიოდში ვკითხულობდი. უბრალოდ, დამრჩა რამდენიმე საყვარელი ავტორი, რომელთა გადაკითხვისთვის დროის გამონახვა არ მენანება ხოლმე. აი, "ნოვოე ვლინგვისტიკე"-ის სახელგანთქმულ სერიასთან კი (პირველი ოთხი ტომი და კიდევ რამდენიმე სხვა

ტომი), რომელსაც სტუდენტობის ბოლო წლებში დიდი მონდომებით ვკითხულობდი, დღეს სასჯელი თუ დამაპრუნებს (რაც, ალბათ, არ მოხდება). მგონი, არც მჭირდება ეს ყველაფერი (თავისთავად გამოვიდა ისე, რომ არ დავემს-გავსე ფილოლოგიურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატებს და დოქტორებს, რომლებიც ორმოცი და ორმოცდაათი წლის წინ საბჭოთა კავშირში გამოცემულ ამ ტომებს ახლა ეცნობიან და თავიანთ სტუდენტებს იქ მიგნებულ "სიახლეებს" ისე აწვდიან, როგორც მოდის უკანასკნელ ყვირილს).

მართალია, ჩემს ლექსებში არ ჩანს, მაგრამ მთელი ჩემი ყურადღება და საფიქრალი დღეს-დღეობით გადატანილია ლიტერატურის პოლიტიკის საკითხებზე საქართველოში. ეს თემა კი სხვა ისეთ პრობლემებს უკავშირდება, რომელიც ძნელად მიტოვებს დროს ლიტერატურათმ-ცოდნეობისა და ლინგვისტიკის ბაზარზე გამოტანილი ახალი იდეების გაცნობის ფუფუნები-სთვის (გასაგებია, რომ შეიძლება ეს ფუფუნება თავის დროზე საკმარისზე მეტიც მქონდა). ის, რაც საქართველოში დღეს ხდება, არ მიტოვებს არავითარ ნუგეშს, რომ ოდესმე ვინმე მო-

უვლის იმას, რასაც ახლა ვქმნით ან რასაც ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ. ეს უარყოფითი დინამიკა იმდენად თვალშისაცემია, რომ ერთადერთი დასკვნისკენ მიბიძგებს: რესურსები საბედისნეროდ ამოიწურა. აი, ეს რეალობა მოგვიტანა საკუთარი კეთილდღეობის და პროფესიული საქმის კეთების ურთიერთჰარმონიზებაზე ზრუნვის კლასიკურმა ქართულმა სილალემ. თუ ჩვენ გადავრჩებით, ეს მართლაც იქნება იმის საბუთი, რომ ისტორიაში ირაციონალური დინებები უძლიერესი ფენომენია. რაღაც, ალბათ, არის კიდეც ჩვენს კეთილ ნებაზე დამოკიდებული. დღეს ჩვენ ან იმ მოსულელო ღიმილს უნდა შევეგუოთ, რომლითაც აღბეჭდილია უმაღლესი სასწავლებლების წინ გამოფენილი ახალგაზრდების უწიგნური სახეები ან – ნიკო ლორთქითანიძის უმწარესი ჩანახატის, მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნების", ილიას "ბედნიერი ერის" სათქმელს ვენდოთ და ჩავუღრმავდეთ. ან დინგიანი ღორების იმ ბიზნესს უნდა შევეგუოთ, რომელიც დიპლომით დადაღული ბალასტის გამრავლებაზე ზრუნავს ან ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, აკაკი ბაქრაძის მიერ შექმნილ დიდ მეტაფორებს მივუბრუნ-

დეთ. სიტუაცია არა მხოლოდ ურთულესია, არა-
მედ – გადამწყვეტი. დაღლილობა და აპათია,
რომელიც ასობით უმაღლესი სასწავლებლის
"ბირჟებზე" დიპლომის მოლოდინში დაყუდებ-
ული გოგოების და მათ ირგვლივ მოძუნძულე
ბიჭების დეგრადირებული მეტყველებისა თუ
სასაუბრო თემების მიღმა იმალება, უკვე აგონ-
იის პროცესია. ეს პროცესი სვავებს დედამინ-
ის ყველა კუთხიდან იზიდავს. საქართველოში
ადრე თუ გვიან მშვიდობაც დამყარდება, წეს-
რიგიც იქნება, კორუფციაც მოისპობა და კრიმ-
ინალური სიტუაციაც წარსულს ჩაბარდება, ქა-
ლაქების დაბინძურებისთვისაც ჩვენს ნებისმი-
ერ ფულიან ღორს ისე აუნევენ ყურს ან წამოა-
რტყამენ კეფაში, როგორც – წვრილმან ქურ-
დობაზე წასწრებულ არასრულწლოვან ქურდ-
ბაცაცას. მაგრამ ეს მოხდება მაშინ, როცა დას-
რულდება საქართველოს გაყიდვის პროცესი.
დღეს კი ეს პროცესი სრული სვლით მიმდინარ-
ეობს. უცხოელებისთვის საგანგებოდ არის შე-
მუშავებული შემოვლითი კანონები, რომლებიც
მათ საქართველოში განუსაზღვრელი რაოდე-
ნობით მიწების შეძენის საშუალებას აძლევს.
უკვე გაყიდულია მცხეთის რაიონში ტერიტორი-

ების დიდი ნაწილი, თბილისის შემოგარენი, მიმდინარეობს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მდიდარი მიწების ათვისება შეუმჩნეველი "ქართული" ფირმების მიერ, რომელთა უკან უცხოელები დგანან. სომხები ინტენსიურად ითვისებენ ზღვისპირეთს. საერთოდ, სადაც წყალია, ის ადგილები უკვე ან შეძენილია ან – შესაძენად მონიშნული. პარალელურად (ოღონდ ქართული კაპიტალით და ადგილობრივი ენერგიის ათვისებით) მიმდინარეობს ისტორიული ძეგლების რესტავრირება, რადგან სამომავლოდ ეს იქნება კარგი ადგილობრივი ეკოზოგიკა. ანუ, პროცესი წესრიგდება ფუნქციონალურად, იმის გათვალისწინებით, რამაც სამომავლოდ უნდა უზრუნველყოს უცხოელის - როგორც მასპინძლის და არა სტუმრის - კანონით დაცული და კომფორტული არსებობა საქართველოში. ადგილობრივ მოსახლეობას კი ერთადერთი საუკეთესო პერსპექტივა ელის: მაღალ ან დაბალანაზღაურებადი მომსახურე პერსონალის მდგომარეობა. პრიორიტეტების განმსაზღვრელი კი იქნება არა ჩვენი სულიერი საჭიროებები, არამედ – უცხოელების კონკრეტული მიზნები და საჭიროებები ჩვენს მინაზე.

ამ რეალობისგან XX საუკუნის დასაწყისში საბჭოთა რუსეთმა გვიხსნა, დაშლის პროცესი დაკონსერვდა. მაგრამ ისტორიაში ასეთი სასწაულები იმდენად იშვიათად ხდება, რომ ნუგეშის მისხალი საფუძველი არ გვაქვს. და ამის მერე, შენ გვიჩვით, ვინმეს ან დრო ექნება ან იმის საჭიროება იარსებებს, რომ ქართული მწერლობის ისტორია შეინახოს და განავითაროს? წაიკითხე ჰეგელის "გონის ფენომენოლოგიდან" თუნდაც მხოლოდ ბატონისა და მონის გენიალური მონაკვეთი და მიხვდები, რომ წამითაც არ ვაჭარბებ, საქართველოს თანამედროვე მორალური ვითარებიდან გამომდინარე. ნებისმიერ ეროვნულ მწერლობას სჭირდება სასუნთქი სივრცე. რაც ჩვენთან ხდება, ამ სივრცის ტოტალური შევიწნოების პროცესია. მე არ მახასიათებს კითხვებზე მაინცდამაინც პასუხების გაცემის მონდობება. სწორედ ამიტომ, გულახდილად ვამბობ, რომ არ ვიცი, ამ პროცესის შეჩერება არის თუ არა შესაძლებელი. განა არ ვფიქრობ იმაზე, როგორ არის შესაძლებელი სიტუაციის გამოყვანა ჩიხიდან. უფრო მეტიც, მოვხაზე სისტემური გეგმა, ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, რომელიც ქართული ლიტერა-

ტურის, როგორც სისტემის შექმნით დაგვირგვინდებოდა და ეროვნულ ორგანიზმში დესტრუქციულ დინებებსაც ხელს შეუშლიდა, მაგრამ ასეთი გეგმების რეალიზების მოთხოვნილება საქართველოში არ არსებობს. და საერთოდ, არც ერთი პროექტის, რომელსაც ფული არ მოაქვს.

რაც შეეხება გავლენების თემას, ისე მოხდა, რომ ამ ფრონტზე ჩემი პირადი გამოცდილების გაზიარება პირველად ავსტრიელებისთვის მომიხდა და არა შენთვის, ამიტომ მხოლოდ იმის გამეორება მომიწევს, რაც ამ რამდენიმე წლის წინ ერთ შეკვეთილ სტატიაში დავაფიქ-სირე. ალბათ საინტერესო იქნება შენთვის იმის გაება, რომ თარგმნა სწორედ გავლენისგან თავდასალწევად დავიწყე. სწორედ ამ განზრახვით ვთარგმნე თრაკლის ლექსები. პირველი ემოცია, რაც მისი ლექსების წაკითხვამ გამოიწვია ჩემში, იყო ფორიაქი. ამაფორიაქა იმის შიშმა, რომ შეიძლებოდა თრაკლის ყაიდაზე წერა დამეწყო. ამ მდგომარეობიდან (ანუ გავლენიდანაც და შიშისგანაც) თავი იმით დავიხსენი, რომ თრაკლის ლექსები ვთარგმნე და ასე გავთავისუფლდი მათგან). ანალოგიური იყო ჩემი

გამოცდილება ცელანის შემთხვევაშიც, და იქ-აც თარგმნის გზით დავიძვრინეთავი. ხომ ხვდები, ძალიან ვამარტივებ ჩემი მაშინდელი შინაგანი მოძრაობების ისტორიას, მაგრამ არსი ეს იყო. მერე და მერე სულ სხვა პრობლემებს ვწყვეტდი და სულ სხვა საკითხებზე ვიყავი კონცენტრირებული. საინტერესო ნიუანსია, არა? როცა ქართულ სასულიერო პოეზიას ეხებოდა საქმე, იქ თავდაცვაზე კი არა, მასალის შემოქმედებითად დაძლევის პრობლემებზე ვფიქრობდი.

ჩემიაზრით, გავლენებზე ფიქრით თავის დაღლა არ ლირს. თუ დაუკვირდები, როცა უკვე ორბიტაზე გასული მწერლები ახალგაზრდა მწერლებთან საუბრობენ, გავლენის კი არა, მიბაძვის საშიშროებებზე ამახვილებენ ყურადღებას. გავლენაში საგანგაშო არაფერია (აი, თვით განგაშის ფაქტი კი ამ დროს საინტერესო ფსიქოლოგიურ სიტუაციას აფიქსირებს და მისი თემატიზება გამდიდრებას ჰპირდება განგაშსაც, ფორიაქსაც და მათ განმცდელსაც, ასეთ თემატიზებას აცდენილი კი, უბრალოდ, ღარიბ გამოცდილებად დარჩება). ძალიან ხშირად გავლენა იმაზე უფრო სახალისო ხდება, ვიდრე ერთი

შეხედვით ჩანს. მაგალითად, როცა ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილის, აკვიატებული სიტყვის, ვიზუალური ხატის, მოსმენილი ამბის გავლენას განიცდიან. რამდენიმე წლის წინ ამეკვიატა წინადადება "განვცქერ მხედრობას!" და ამ წინადადების ირგვლივ რიტორიკული მოდელების, ვიზუალური ხატების, ჟესტების და ლამის დრო-სივრცეში სკულპტურული გადაწყვეტების ისეთი კასკადი დამიგროვდა, მთელი ერთი წიგნის დასაწერად რომ გამოდგებოდა. მერე, როცა ეს წინადადებაც და წარმოდგენილი ხატის სხვადასხვა რაკურსიც მიმავიწყდა, ჩემს რამდენიმე პოეტურ ტექსტში, რომელიც უფრო მოგვიანებით დავწერე, ამ ხატის და მასთან დაკავშირებული ფიქრების ბევრი გავლენა ვნახე.

არ დამიჯერებ, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ ახალ ლექსს ყოველთვის იშვიათად ვწერდი და ისეც მომხდარა, რომ ორ ლექსს შორის დროითი შუალედი მთელ თვეებზეც კი გაწელილა. ვერ ვიხსენებ, რომ ასეთ რეალობას შევეწუხებინე. ალბათ, იმიტომაც, რომ ყოველი მომდევნო პოეტური ტექსტი უტყუვრად მიჩვენებს ხოლმე ასეთი შუალედების კანონზომიერებას. სხვათაშორის, პირველივე ლექსი "სვირინგი",

რომლითაც ჩემი პირველი კრებული იხსნებოდა, ერთადერთი იყო, იმ წელს რაც დავწერე. მთელი წელი სხვა არაფერი დამინერია. იმდენჯერ გადავწერე და იმდენი ვარიანტი დამიგროვდა (ორმოცზე მეტი), რომ მე თვითონ ვერ ვიჯერებ. მართალია, ამდენი ხნის მერე ვხვდები, რომ ამ ლექსის ლირებულება პირადად ჩემთვის მხოლოდ იქამდე დაიყვანება, რომ მან წერა მასწავლა (და, ამის გამოც, განსაკუთრებით ახლობელია ის ჩემთვის), მაგრამ ერთ ლექსზე ერთი წლის განმავლობაში მუშაობის გამოცდილება მერე ბევრჯერ გამომადგა. წარმოიდგინე, ტექსტი ჯერ სულ ათი-თორმეტი სტრიქონი იყო, მერე ისე გაიწელა, რომ პოემას დაემსგავსა, მერე კვლავ შეიკუმშა და რაღაც საშინელება გამოდიოდა, და მთელი ეს ქარიშხალი იმიტომ ტრიალებდა, რომ ლექსში მხოლოდ არსებითი, მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი დარჩენილიყო და ლაპირადობის იმ ხარისხისთვის მიმეღწია, რომელიც კლასოკოსებთან აღმაფრთოვანებდა ხოლმე. არა მაინცდამაინც მხოლოდ უცხოელებთან. იმ წელს ხელახლა აღმოვაჩინე ალექსანდრე ჭავჭავაძის "გოგჩა" და გრიგოლ ორბელიანის "ჩემს დას ეფემიას" (თუმცა, ისი-

ნი ადრეც მქონდა წაკითხული) და რილკეს "ელ-ეგიებთან" და ელიოტის პოემებთან ერთად ამ ორი ულამაზესი და უმძიმესი ქართული ლექსის ენერგეტიკულ ველშიც ვტრიალებდი. რაც ჩავიფიქრე, არ გამოვიდა ანუ ვერც ლექსის მთლიანობას მივაღწიე და ვერც - ლაპიდარობას, რამაც სასონარკვეთილებაში ჩამაგდო და დიდხანს ვეღარაფერს ვწერდი. რამდენი დრო უნდა გასულიყო ამ წარუმატებლობიდან, რომ ერთი წელი ისევ მხოლოდ ერთ ციკლზე მემუშავა და "არსებითი სვლები" დამენერა, მგონი ჩემს შემოქმედებაში პოეტიკის და შინაარსის მთლიანობის თვალსაზრისითაც და - დასმული და გადაწყვეტილი ამოცანების სირთულის თვალსაზრისითაც! ამ ფიქრებს რომ ვუღრმავდები, გაოგნების და მადლიერების განსაკუთრებული გრძნობა მიპყრობს, რომელიც, თავის მხრივ, წარმოსახვით ყოველთვის შიომღვიმის მონასტერში მაბრუნებს, სადაც ცისკრის ლოცვების დროს ისეთი განცდა მქონდა, რომ ყოველდღიურად - დილაბნელში - მეგზურად მონასტერში მცხოვრები მამების ეს ლოცვები მოუძღვნენ დღის წათელს. სხვათაშორის, ყველაზე დიდი წარმატებით "ფორმულამ" სწორედ

"არსებით სვლებში" გაშალა ფრთები. ეს სწორედ ის ციკლია, რომელიც მერე თავის პოეტურ ენაზე "თარგმნა" ჩემმა უახლოესმა ადამიანმა, ბესიკ ადეიშვილმა. მაგრამ ამ ციკლის პირველი დამფასებელი მაინც ერთი ხანდაზმული ფიზიკოსი აღმოჩნდა და არა პოეტი, ანზორ გველესიანი, რომელიც იტალიურს ვერდის ოპერების თბილისური წარმოდგენების დახმარებით სწავლობდა და მას ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს კვირაში ორჯერ მაინც ვხვდებოდი ხოლმე ოპერაში და დიდხანს ვსაუბრობდით ხელოვნებაზე. მსგავსი ინტერესი ჩემი შემოქმედების მიმართ, ჩემთვის გამჟღავნებული, მას მერე არავისგან მახსოვს.

რამდენი გელაპარაკე, თავი მოგაბეზრე ალბათ. რა მაინტერესებს: ჰიმნოგრაფიაზე მუშაობას აგრძელებ?

დ.

27.03.2008

პირიქით, ძალიან საინტერესოდ მელაპარაკები.

"ლიტერატურის პოლიტიკა" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტერმინია, რომელიც შენი წიგნიდან დამრჩა არა მხოლოდ ტერმინად. პრინციპულად ახალი ხედვები გადმომიშალა. ჰიმნოგრაფიაზე მუშაობას არ ვაგრძელებ, მე მგონი, დიპლომის წაკითხვა არ ღირს, რადგან, როგორც გითხარი, უკვე ძალიან კრიტიკულად ვუყურებ ამ ნამუშევარს. ალბათ, აჯობებს, რაღაც ფრაგმენტებს მიმაგრებული დოკუმენტით გადმოგიგზავნი.

მესმის, რაც მომწერე თარგმნით გამოწვეულ თავისუფლებასთან დაკავშირებით. უბრალოდ, თავიდან ასე არის ხოლმე, რაღაცაში ხარ და ფორმები და ფერები ბლანტია და გაუგებარი, მარტო განწყობებად აღიქვამ, მაგრამ ნელ-ნელა ეს წესრიგი მყარდება. ხო, მიბაძვისაც მეშინია, ხანდახან, არ დავმალავ:) აი, მაგალითად, დათოს (ჩიხლაძის) ლექსებმა იმხელა განცდა დამიტოვა, რომ კარგახანს ფრუსტრირებული ვიყავი, მეგონა, ახალს ვერაფერს ვიტყოდი ამის შემდეგ:)))))) მერე ამანაც თავისი ადგილი დაიკავა. ალბათ, ხანდახან, და არცთუ ისე იშვიათად, ვართ გაუმაძლრები. ზოგჯერ გვინდა, ისეთი ვიყოთ, როგორც არ ვართ, მა-

გრამ მოგვწონს. გვინდა, რომ რაღაც "გავაჩვენიანოთ". თუმცა ეს ძალიან დიდი თემაა. ალბათ, ძიების პროცესში ასე ხდება ხოლმე (ზო, პოვნის პროცესი არ ვიცი, ოღონდ, რას ნიშნავს :))).

იმდენი რამე იყო, არადა, მე დღეში ერთი სა-ათით მაქვს ინტერნეტი, ერთ დღეს ვკითხუ-ლობ, მეორე დღეს ვწერ:) ვერაფერს ვერ ვას-ნებ, რაც მინდა, რომ მოგწერო... მე სექტემბ-რიდან აქტიურად ვიწყებ ფიქრს სწავლის შესა-ხებ (ლიტერატურის ისტორია, თეორია და სხვ.) სადმე, ნორმალურ სკოლაში, თუნდაც, რუსეთ-ში. ლიტერატურის სოციოლოგიაში ვაგრძელებ, საშინლად მანუხებს ინფორმაციული სიმწირე. უცოდინარობა, რომელიც ჩემი ბრალიცაა, მარ-ტო სხვებს რომ არ გადავაბრალო.

იცი, ამასწინათ რას ვფიქრობდი? საინფორ-მაციო სიცარიელე და სიმყიფე, რომელიც ჩემი სტუდენტობის პერიოდში იყო უნივერსიტეტ-ში და ახლაც არის, ყველგან, საქართველოში, ეს მეგონა, რომ ზოგიერთი ადამიანის უცოდ-ინარობის ბრალი იყო, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ თავისუფლად შესაძლებელია, ყოფილიყო ინფორმაციული პოლიტიკა. (...)

საქართველოში მძვინვარებს აგრესია:) ეს

აგრესია არის საუკეთესო ფარ-ხმალი, რომელიც ადამიანებს აქვთ დღეს. სკოლაში, სადაც ვასწავლიდი (ეს არ იყო პროვინციის სკოლა), ჩემი თანადამრიგებელი ბავშვებს ეუბნებოდა, ვინც სხვა სკოლიდან გადმოვიდა, ის ცუდიაო. რა დემოკრატია. იცი, დემოკრატია, მგონი, საქართველოში არ დამყარდება:)) ჩვენ ერთი კარგი დიქტატორი გვინდა, "ლამაზი ტყუილებით" რომ მოგვხიბლავს. აი, ეს გვინდა, თან ძალიან. რომანტიზებული ძალაუფლების იდეა, რომელიც ჩადებული იქნება ხელისუფალში. ხელისუფლებაც ცდილობს არა აღზრდას, არამედ იმას, რომ მოერგოს "ხალხის დაკვეთას". ასეა სკოლებშიც, რაშიც შენ ჩემზე უფრო მასშტაბურად ჩახედული იქნები... რაც მართლა შესაცვლელი იყო, ის დარჩა (მეთოდები შეიცვალა და დამოკიდებულებები იგივე დარჩა). ფასადებზე რომ ამბობენ, მართალია. (...)

ქეთო

28.03.2008

რა თქმა უნდა, საბჭოთა პერიოდში ინფორ-

მაციის სისტემურ ფილტრაციაზე დიდალი თანხა და ადამიანური რესურსები იხარჯებოდა, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი იყო წებად-ართული, ერთადერთი ინტერპრეტაციის კვლავნარმოება, რომლის წნებშიც ყოველთვის უნდა გაევლო წებისმიერ ინფორმაციას, ადგილობრივსაც და იმპორტირებულსაც. ამ წნებისთვის ერთადერთი "კერკეტი კაკალი" კლასიკა იყო, და მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთ, თუმცა კი ეფექტურ იარაღს წარმოადგენდა კლასიკური მემკვიდრეობის პრეზენტაცია ყოველთვის საცენტრულო ინტერფეისით, მარქსისტულ-ლენინური საკომენტარო აპარატით, ყველა დონეზე – ბეჭდური გამოცემების სახით, პედაგოგიური პრაქტიკის სახით, მეთოდური მითითებების სახით, ყოველდღიურ ცხოვრებაში. წნები საბჭოთა დროის სხვადასხვა პერიოდში ერთნაირი არ იყო, არც მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე იყო ის ერთნაირი, მაგრამ არსი არ იცვლებოდა, ყველაფერი წითელი იდეოლოგიის მიერ უნდა ყოფილიყო კასტრირებული. შესაბამისად, არა იმდენად ინფორმაციის ნაკლებობის, რამდენადაც იდეოლოგიის მიერ "უვნებელყოფილი" ინფორმაციის პრობლემა იდგა წებისმი-

ერი მოაზროვნე ადამიანის წინაშე. მეორეს მხრივ, გადაულახავი პრობლემა იყო მოტივაციის დაჩრდუნება და განლევა, თორემ, ბოლოს-დაბოლოს, რუსულად ითარგმნებოდა და გამოცემოდა ყველაფერი ფილოსოფიური და ლიტერატურული კლასიკიდან. ადამიანს შეეძლო ყველაფრის წაკითხვა, რაც შინაგან ჰონტს აფართოებდა, იქნებოდა ეს ძველბერძნული ფილოსოფია თუ შუა საუკუნეების ლიტერატურა, რომელი ერთი ჩამოვთვალო. არსებითი "ეშმაკობა" ამ უმდიდრეს მემკვიდრეობაზე თავისუფალი რეფლექსის აკრძალვა იყო, შესაბამისად, შესაძლო რეფლექსისასაც ადგილობრივ კონტექსტში აზრი ჰქონდა დაკარგული, მის გამოყენებას ვერსად ვერავინ გაძედავდა. მართალია, პრივილეგირებულ ინტელექტუალებს ინფორმაციის წყაროებთან მეტი შეხება ჰქონდათ, მაგრამ – არა მეტი თავისუფლება. მათ პრივილეგიებზე იმდენი მკვდარი ვალდებულება იყო ჩამოკიდებული, რომ ისინი ფრთებს ვერასდროს გაშლიდნენ (გამონაკლისი იყვნენ მათემატიკოსები და საერთოდ ზუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლები). ასე რომ, განათლების საკითხი უახლესი ინფორმაციის წყაროებთან სიახ-

ლოვეზე ნამდვილად არ დაიყვანება. ამის ძალიან ბევრი მაგალითია, მხოლოდ გივი მარგველაშვილით ან პასტერნაკის "ექიმი უივაგოთი" რომ არ შემოვიფარგლო. ხოლო თუ ადამიანთა დასაშტერებლად მოგონილ ყველა ხრიკს არ გავყებით და ადამიანთა იმ კლასით შემოვიფარგლებით, რომელსაც განათლების მიღების სურვილიც ჰქონდა, სოციალური შესაძლებლობაც და ნებაც, ასეთ განათლებას უპრობლემოდ ღებულობდა. შეიძლება, ჩემს ამ შეფასებაში ვაჭარბებ, მაგრამ მე მაინც ყოველთვის საძირკვლიდან სახლის შენების მომხრე ვარ და ადამიანი, რომელიც განათლების მიღებას ესწრაფვის, სწორედ კლასიკურ განათლებას უნდა ღებულობდეს, ანუ მას მაინც და მაინც უახლესი ინფორმაციების სიუხვე ვერაფერს მისცემს, მხოლოდ გააბრუებს ან სამწუხარო ილუზიებს შეუქმნის. მით უმეტეს, რომ არსად ინფორმაციის ისეთი სიუხვე არ შეინიშნება, როგორც კლასიკურ მემკვიდრეობაში, და თუ მაინცდამაინც ინფორმაციის სიმზირე იყო პრობლემა, ამ პრობლემის გადალახვა კლასიკის ველზე დარჩენით საბჭოთა ეპოქაშიც შეიძლებოდა, განსაკუთრებით – სწორედ შენი სტუდენტობის პერიოდ-

ში. დანარჩენი კი (როცა, მაგალითად, ხელოვანს ეხება საქმე), ყველა კონტექსტში ღვთის და ნიჭიერების ნებაა. ხვდები, რომ საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს შევეხე, თორემ საერთო სიყრუვე და სრული არაკომუნიკაბელობა, საერთოდაც კომუნიკაციის შიშიდა ამ კომუნიკაციის შემოზღუდვა ვერტიკალური, ზემოდან ქვემოთ მიმართული ენით საბჭოთა ეპოქაში გამოსავალს არ უტოვებდა თავისუფლებას (თუ ამ უკანასკნელს ურთიერთობების სისტემად, მეტიც, ურთიერთობების კულტურად წარმოვიდგენთ).

ლიტერატურის სოციოლოგიას, შენირომვიყო, საერთოდ დავივინებდი. მით უმეტეს, რომ არსად იმდენი ქაოსი არ სუფევს, რაც მაგ ფრონტზე, და ამას ბოლოსთვის მოვიტოვებდი (თუ საერთოდ შემრჩებოდა ინტერესი), მითუმეტეს, რომ ლიტერატურათმცოდნეობის და ლიტერატურის ისტორიის რომელი მიმართულებითაც არ უნდა გაიღრმავო ცოდნა, ლიტერატურის სოციოლოგიაში საკვლევ თემებად შეკონინებული საკითხები ყველგან შენი თანმხლები იქნება. ერთი ტენდენცია იკვეთება ბოლო ათწლეულში საქართველოში: ფილოლოგები, რომ-

ლებსაც ლინგვისტიკაში "თბილ" ადგილებს ეძებენ, ამ მიზნით სოციალურ ლინგვისტიკას ირჩევენ ხოლმე. ლიტერატურათმცოდნეობაშიც არის ასეთი "თბილი" ადგილები. შენთან ეს არაფერ შუაშია, ერთი წამით ამაში ეჭვი არ შეგეპაროს. უბრალოდ, სწორედ ახლა უნდა უგანო იმას, რაც ძების გზაზე მეტ-ნაკლებ კომფორტს გპირდება. გასვლაზე კი მართლაც უნდა ფიქრობდე აქტიურად, კონკრეტული გეგმარით შეიარაღებული. მე ამ "სექტორში" მნარედ დავაგვიანე, პირველ რიგში სწორედ კონკრეტული ინფორმაციის სიმნირის და ჩემი სიღარიბის გამო (სხვათაშორის, გერმანიაში პირველად ნასესხები ფულით წავედი). ჩემი სტუდენტობის დროს საქართველოდან უცხოეთში სასწავლებლად წასვლას, თუნდაც უსტიპენდიოდ, გავლენიანი პატრონს მოკლებული ახალგაზრდა ვერ შეძლებდა. შენს ასაკში რომ გამეღწია აქედან, უკან აღარ დავბრუნდებოდი ან ჩამოვიდოდი ხოლმე დროდადრო სტუმრად (მწერალს ერთი პრივილეგია აქვს: სანამ მშობლიურ ენაზე წერს, ყველაფერი, რაც მისი სიკვდილის მერე ღირებული დარჩება, უპირობოდ მისი სამშობლოს კუთვნილება ხდება, ამიტომ მისი ადგილმ-

დებარეობისა და გადანაცვლებების კოორდინატები მხოლოდ მისი ბიოგრაფიკონის მასალად შეიძლება იქცეს და არა – ნაციონალური მორალის). მე ნანახი მაქვს ვაჟა-ფშაველას სახლი ჩარგალში და მას მერე ვიცი, რომ საქართველოში მწერალს არასდროს ექნება უკეთესი პედი, ყოველთვის ახალ-ახალი პატრონის ძიებით დაკავებული ერი აქ ვერასდროს მოიცლის მწერლისთვის (როცა ქართველი ერის ასეთ მდგომარეობას წერტილი დაესმება იმ მომავლით, რომლის შესახებაც უკვე გწერდი, ეს საკითხები აქტუალობას ავტომატურად დაკარგავს). ასე რომ, პირადად მე დამაგვიანდა აქედან გასვლა, რაც ჩემთვის მაინც და მაინც ტერიტორიულად საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნამდე არ დაიყვანება.

რაც შეხება დემოკრატიას, მე ბუნებით, ჩემი პიროვნული წყობით არ ვარ დემოკრატი და დემოკრატიაზე "ობიექტურს" ვერაფერს გეტყვი. საკითხი რომ უკიდურესად გავამარტივო, მას ჩემს წარმოდგენაში ასეთი სახე ექნება: დემოკრატია საჭიროებს ორ მთავარ შემადგენელს: თავისუფალ ადამიანებს და მონებს, რომლებმაც თავისუფალი ადამიანების თავის-

უფლება უნდა უზრუნველყონ. ასეთი რამ ის-ტორიაში ერთხელ მოხდა საბერძნეთში, მას მერე კი მეოცნებე საზოგადოებები ყოველთვის იწყებენ მიბაძვით და ამთავრებენ უგვანი სურ-ოგატების შექმნით. ასეთი სუროგატის ფილიგ-რანულად დახვენილი ნიმუშია ამერიკა. პიროვ-ნულ ურთიერთობებში კი დემოკრატიაზე ყოვ-ელთვის კულტურის ნაკლებობის მიზეზით ხდება აპელირება. ორაზროვანი საზოგადოებ-ების ყოველდღიურ ცხოვრებაში კი, ჩემი დაკ-ვირვებით, ინტერსუბიექტური დემოკრატიუ-ლობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი ად-ამიანები, როგორც წესი, ყოველთვის სახმარი ღირებულების ობიექტად წარმოდგენილი პო-ტენციური მსხვერპლის გასაბრუებლად დემო-კრატობენ და თავმდაბლობენ. როცა ასეთი თა-მაშები მთავრდება (როგორც წესი, პოტენციუ-რი მსხვერპლის სულელური მოთხოვნილებებ-ით და ილუზიებით ან მისივე შინაგანი ცენზორ-ების სიმრავლით დაჩქარებული), ბრძოლის ვე-ლზე ან გაბრიყვებული და მიგდებული მსხვერ-პლი რჩება ან – მელა, რომელიც ყურძენს ვერ შესწოდა. სადაც კულტურაა, იქ დემოკრატია ზედმეტია, რადგან კულტურის უმაღლესი სა-

ფეხური თავისუფალი ადამიანი და თავისუფალი საზოგადოებაა.

მგონი, დიქტატორებიც დიქტატორების საჭიროებას განიცდიან, არა? ამიტომ ხომ არ არის, რომ ისინი ყოველთვის თავიანთზე მაღლა მდგომ დიქტატორებს დაეძებენ, რათა მათ ანგარიში გაუწიონ? აგრესია, რომელიც საქართველოში "მძვინვარებს", თავისი შინაარსით ძალიან ძველია. შუალედური მიზეზები დასავლეთ საქართველოს ცხოვრების იმპერიოდშიც უხვად არის, რომლის სურათებსაც ლამბერტის, შარდენის, დეკასტელის ან თუნდაც რუსი კოლონიზატორების აღწერებით ვეცნობით (დასავლეთ საქართველოს იმიტომ აღვნიშნავ, რომ დღესდღეობით საქართველოში სწორედ დასავლეთ საქართველოდან მომარაგებული ხიხოებისა და ბოგანოების კულტურული და პოლიტიკური სიბრძნე მიგვიძლვის სინათლისკენ).

...არაუშავს, ვალდებულების ძალით ხომ არ მწერ, მოსასწრები არაფერია, სასაუბროს რა გამოლევს. კომპიუტერთან მართლაც ისესწრაფად გადის დრო, ზოგჯერ მინდა, სულ არ მქონდეს. თუმცა, ძალიან დიდ დროსაც მიზოგავს,

განსაკუთრებით ავსტრიულ პროექტზე მუშაობისას. პირდაპირ ვიტყვი: რომ არა კომპიუტერი, ამ პროექტის წამოწყებაზე ვერც კი ვიოცნებებდი. შენ წარმოდგენაც არ გაქვს, რა პრობლემების გადაწყვეტით დავიწყე ამ პროექტის რეალიზებაზე ფიქრი...

აბა, დროებით.

დ.

31.03.2008

ის, რომ მათემატიკოსები და ზუსტი მეცნიერების წარმომადგნელები საბჭოთა პერიოდში მეტ-ნაკლებად შეუზღუდავები იყვნენ, ამაზე ხშირად მიფიქრია. ამიტომ "არ უყვართ" ჰუმანიტარებს ისინი და ამიტომ ამჯობინებენ ბუნდოვან მსჯელობას და გააფთრებით უარყოფენ პოზიტივიზმს და ამბობენ, რომ ლიტერატურა არ არის და ვერც იქნება ზუსტი და ვერც ლიტერატურათმცოდნეობა.

როგორ ემთხვევა ხოლმე, რასაც ვფიქრობ, კასტელის და ლამბერდტის ჩანახატებს და ჩანაწერებს ამ თვალსაზრისით არ დავკვირვებივ-

არ და მეჩვენება ხოლმე, რომ სამოგზაურო ჩანაწერებში და ზოგადად, ეთნოლოგიური პორტ-რეტების შექმნის დროს ხშირად უტრირებას აქვს ადგილი, რაც უნდა დიდი მოაზროვნე იყოს ავტორი. პროვინციის "სისხლის გადასხმას" თავისი ძალიან დიდი დადებითი მხარეც აქვს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პროვინცია იცავს საკუთარ წესს და წარმოაჩენს თავს იმ სისავსით, როგორიც სინამდვილეშია. სწობიზმის პრობლემამდე მივედი: სამწუხაროდ, პროვინციელები გაკვირდებიან, როგორ იქცევი, **შენ**, როგორც ნიმუშს და იმის ფონზე, რომ არაფრად მიაჩნიხარ, უსირცხვილოდ სწავლობენ შენს თითოეულ ქცევას, გამოთქმებს, აზრებს.

არც ჩემთვის დაიყვანება საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნამდე "გასვლა", თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან დიდ დროს და ენერგიას ვხარჯავ იმის მტკიცებაში სხვების (და ხშირად საკუთარი თავის) მიმართ, რაც განვითარებულ საზოგადოებაში ჩვეულებრივი ფასეულობა უნდა იყოს. დიდ ენერგიას ვხარჯავ "განკითხვაზე" და მეკარგება ის დრო, რაც შეიძლება ჩემს გაზრდას მოვახმარო. (...)

იმიტომ საჭიროებენ დიქტატორები, ალბათ

უფრო მასშტაბურ დიქტატორებს, რომ მათი ცნობიერება მონურია, რაზეც ხშირად ლაპარაკობს ილია, "გლახის ნაამბობში" (გაბრიელის მიერ "იდეალების" და "ავტორიტეტების" ძიების აღწერის დროს).

თბილ ადგილებზე გეთანხმები, მაგრამ ეს ის საკითხია, რომელიც მართლა მაინტერესებს და "ჩემი გზით" მივედინები:) დოქტორანტურაში უკვე ვსწავლობ, ლიტერატურულ წრეებზე გადავწყვიტე თემა. ლიტერატურული პოლიტიკა ძალიან მეხმარება...

ქეთო

14.05.2008

(...) ერთი კოხტა კრებულის გამოცემაზე რატომ არ ფიქრობ? არა მგონია ძვირი დაჯდეს. იქნებ რომელიმე გამომცემლობას თავისი ხარჯითაც გამოეცა.

დ.

15.05.2008

(...) წიგნი კი მინდა, მაგრამ ჩემი ხელფასით
ვერ გავწვდები და პოპულარული არ ვარ, რომ
გამომცემლობამ თვითონ შემომთავაზოს :)
მოკლედ ველოდები შენს ცხარე კრიტიკას! :))

15.05.2008

ქეთო, მოგწერ... დღეს საღამოს წავიკითხავ.
პოპულარული არც მე ვარ, რადგან ჯერ ჩემ-
თვის საქართველოში არც ერთ გამომცემლობ-
ას წიგნის გამოცემა არ შემოუთავაზებია. "ჰე-
ვს" ნეგატიურ-კრიმინალური შეფერილობით,
არა? კაი, მაშინ მართლაც უნდა ვილაპარაკოთ
ამ თემაზე.

დ.

16.05.2008

ქეთო, სიხარულით წავიკითხე შენი ეს ლექ-
სები. მოსალოდნელიც იყო, რომ მაშინვე შენი

ადრეული ლექსებისთვის შემედარებინა. სხვა-ობა არსებითია. ამ ლექსებში სასიამოვნო სიახ-ლე სალექსო ფორმის შენების მცდელობაა, რო-მლის ნასახიც არ იგრძნობოდა ძველ ლექსებ-ში. აი, ამან მომხიბლა: თუ ინტუიცია არ მღალა-ტობს (ხოლო შენ მეთოდურად იმუშავებ), ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავდება. ლექ-სები ისე აგინყვია, თითქოს აგურები დაგელაგე-ბინოს ერთმანეთზე. შენ უკვე, პრაქტიკულად, გარედან მიგიდევნებია თვალი შენი ლექსები-სთვის, მათგან გარეთ გამოსულხარ. არ მოგინ-ოდებ, მხოლოდ ვისურვებდი, რომ ამ მიმართუ-ლებით განაგრძო მუშაობა: თუ ამისთვის მაინ-ცდამაინც ენცენსბერგერი იყო საჭირო, ბოლო-მდე მისდიე, ეს ყველაფერი ხომ მხოლოდ შავი სამუშაოებია. ენცენსბერგერი ძალიან "ეშმაკი" ავტორია, მისი ოსტატობა განსაკუთრებით ლე-ქსის სხეულთან ურთიერთობაში მუღავნდება. მას უყვარს თავბრუდამხვევი სისწრაფით სათ-ქმელის განზოგადება არა განყენებულად, არა-მედ – ლექსის სხეულშივე, ისე, რომ ბოლომდე კონკრეტული რჩება, აბსტრაქტულს არაფერს შეაპარებს.

ნებისმიერი ახალგაზრდა ავტორის დაოსტა-

ტებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა არა ენცენსბერგერის გავლენით, არამედ ამ გავლენის პარალელურად წერას. მგონი, ვერ გამოვთქვი. თვალი ადევნე თვით გავლენის წყაროებს და ისე წერე. დაუკვირდი, სად ჩნდება მიზიდულობებიარაცნობიერში, როცა ფორმის "კეთებისკენ" იხრები. შენმა ლექსებმა უკვე პლასტიკა შეიძინეს (არ ვგულისხმობ "მამაოს"; რამ დაგანერინა ასეთი ზარმაცი ლექსი, არ შეგეცოდა?), ამიტომ უკან აღარ დაიხიო. ჩვენი ავტორების წარუმატებლობის ერთი მიზეზი ესეც არის: მათ ხელში ლექსი არ იძერნება, ლექსი პოეტური მეტყველებისთვის თანშობილ პლასტიკურობას არის შერჩენილი და სათქმელის მოსახესრიგებლად და ფორმის ქურაში მის ამოსავლებად ავტორის ცნობიერი ძალისხმევა ნულის ტოლია, დიდი ხანია ქართულ ენაზე ძირითადად ბრტყელი ლექსები იწერება.

სხვა გზა არც არის: თუ გინდა, ფორმებმა თავად შემოგთავაზონ ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის ერთადერთი "საუკეთესო", ჯერ შენ თვითონ უნდა ეძებო ისინი. მაშინ შენი სათქმელიც უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი იქნება. შენ გინდა თქვა რაღაც მნიშვნელოვანი,

სიტყვები საგანგებო დანიშნულებით დატვირთო, მაგრამ არ გამოგდის და დანაწევრებული პროზაული წინადადებების მეტი ხელთ არაფერი გრჩება იმიტომ, რომ სიტყვები გრძნობენ შენს გამოუცდელობას სწორედ ფორმისქმნადობის მიმართულებით. ითამაშე ფორმებით, მათ ეს უყვართ! მაშინ აღარ მოხდება ისე, რომ შენს კონკრეტულ და ცოცხალ, თუმცა კი ღარიბ ხილვებს მოჰყვეს იმის ჩამოთვლა, თუ რა გნამს და არც ის უშინაარსო ჰეროიკა, რომ ღმერთს და სამშობლოს რაღაცეებს ჩამოაცილებ. უფრო დიდი შრომა დასჭირდებოდა იმ მინარევების გათვალსაჩინოებას და პოეტურ აღწერას, ღმერთისთვის რის ჩამოშორებასაც აპირებ. ან ეს "ქაშა" და "ვიღაც ქალები" რაღაა? მე გეტყვი: ეს სიზარმაცეა. "წესიერების გაზონები" და სხვა ასეთი არაფრისმთქმელი განზოგადებებიც ზედაპირულ, გავრცელებულ კლიშეებთან დალლილი ვალსია. იგივეს ვიტყოდი "ქალობის მიღწევაზე", "პორჭყნაზე", "უძრავობის კიაფზე" და სხვა სიტყვათშეთანხმებებზე. "და იქ შედგება პირველი კოცნა"? ვერ გრძნობ, როგორ უჭირს სუნთქვა ამ წინადადებას მოცემულ სალექსო კონტექსტში? ამას აჯობებს, შენი წა-

რმოსახვები გაზეთებიდან ამონწერილი ქრონიკების ფრაგმენტებით გააჯერო. არ გაინტერესებს, რა გამოვა?

მაგრამ რამაც გამახარა, იმას ეს შენიშვნები ჯერჯერობით ვერ დაჯაბნიან. არ გაჩერდე! სისათუთის რაღაც ისეთი მონაბერი ვიგრძენი ფორმებთან მიმართებით შენს ამ ლექსებში (განსაკუთრებით "ვაკუუმში"), რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიკარგოს.

დათო

19.05.2008

წავიკითხე და დავამუშავე შენი წერილი:))) გადაჩვეული ვიყავი შენი წერის სტილს და ორორჯერ მომინია წაკითხვა:)) ჰო, ეგრეა, ვმუშაობ, მაგრამ მაბნევს შენი შეფასებები და ცოტა მაშინებს. პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ეს იმიტომ არა, რა თქმაუნდა, რომ ამაზე მე არ მიფიქრია, უბრალოდ, ალბათ სხვისი ტერმინებით განხილული შენი ნამუშევარი დამაბნეველი არის?.. არ ვიცი.

მოდი, იქიდან დავიწყებ, რომ მეჩვენება,

ცალსახად უდგები რაღაცებს, აბა, როგორ გავიგო "სამშობლოს" "ცხელ ქაშაზე" რაც თქვი? ეს ის ქალები (ქალები!) არიან, რომლებიც გაძალებენ, რომ მათი, საყოველთაო სიმართლე მიირთვა: მიიღო მოდელი, რომელსაც უალტერნატივოდ გთავაზობენ "ვილაცები".

მე იმ აზრზე ვდგავარ, რომ ლექსიდან პირადი წუხილებით ხალხი არ უნდა აავსო, რომ ეს ყველაფერი მუჭში უნდა მოიმწყვდიო და შეგნით უყურო, რომ ზემოდან/გვერდიდან შეხედო. სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია სწრაფი პასუხების და იმიჯმეიკერი პოეტების პოლიტიკა. ეს შენს თაობაშიც და ჩემთანაც ერთერთი წარმატებული ხერხია წარუმატებელი ადამიანებისთვის.

მაგრამ! აბა, სად გადის ზღვარი პიროვნულსა და ზოგადს შორის? ეს ხომ ის პიროვნულია, რომელიც საზოგადოა, რომელიც ყველას ანუხებს, ვინც ახალი გზის გაკვალვას ცდილობს და არ დადის საყოველთაო გზაზე მარტო იმიტომ, რომ უფრო მალე მივა დანიშნულების ადგილამდე? (თუ მერე ამაზე ლაპარაკი ჩამოვარდა, "ვილაც ქალებზე" უფრო დაწვრილებით გეტყვი) მე ასე მგონია, კეთება ძალიან საჭიროა და

პოეზია ზუსტია იმდენად, რამდენადაც პოეტი სინამდვილის ანაბეჭდებს აკეთებს ტექსტში (ახალს არაფერს ვამბობ, ეს ყველაფერი არის-ტოტელეა), სადღაც გენერა შენ, რომ გონება-გავლილი იდეა ხვდება ლექსში. შეიძლება, ფაქტი აღბეჭდო და ეს ფაქტი გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე, შენ რომ "აკეთებ", ის ფაქტი, ეს-ეც ყბადალებული საკითხი, აქ, ალბათ, მეთოდოლოგიების პრობლემა უფროა, ვიდრე ჩემი ტექსტების).

მესმის, რომ შეიძლება ავტორის "გაცოცხლების" დროა! მაგრამ ავტორი მონიშნულ ტერიტორიას არ უნდა გადავიდეს, რადგან ბოლომდე ზუსტი მაინც ვერ იქნება, იმიტომ, რომ რეალობა იმდენად მოუხელთებელი და დინამიკურია, ის, ალბათ, მარტო ღმერთმა "იცის". ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ დღეს ასეთია, შეიძლება, შევიცვალო.

შეიძლება, მე ვერ გავიგე: თუ იმას ამბობ, რომ ეს სახეები, როგორც ფორმები (ცხელი ქაშას პირში ტენვა, ვიღაც ქალები) ბანალურია, ამაზე შეიძლება ფიქრი... "წესიერების გაზონებზე" გეთანხმები, ფორმა ძალიან გავამარტივე და დავლეჭე. საკონკურსო კონიუნქტურის არა-

ცნობიერი გავლენაა.

"შედგება" და "პირველი კოცნა" ენობრივი კლიშეებია და აქ შემთხვევით კი არა, სპეციალურად არის მოტანილი. ვაკუუმის პირველი ნაწილი არის ის, რომ სადღაც რაღაცები ხდება, ყველაფერი სხვაგან ხდება, აქ კი ფაქტები აღიქმება ტრაფარეტულად, არადინამიკურად (როდესაც აღმნიშვნელი იქცევა მკვდარ სხეულად), აი, ეს აზრია. თორემ პირველი ნაწილის ენობრივი "გაუმართავობა" და კონტექსტის მიმართ არაა დეკვატურობა, რა თქმაუნდა, არის... საგაზეთო ქრონიკებზე რომ მოიწერე, თითქოს, ამას მიხვდი...

იყო რაღაცები, რაც ვერ გავიგე და უნდა დაგაზუსტებინო: გავლენის წყაროებისთვის თვალის დევნებაში იმას გულისხმობდი, რომ იდეას ვბაძო და არა ფორმას (კონკრეტულ ავტორს), თუ რამე სხვას?

რაღაცებს გეკითხები იმიტომ, რომ საერთო ჯამში კრიტიკა საკმაოდ ბუნდოვანი იყო : (მართლა. ვერ გავიგე, რაც გავიგე, ის იყო, რომ ენობრივი გამოცდილება მაკლია მუშაობის საფუძველზე (გეთანხემბი), არ უნდა გავაპარო ხალტურა (ესეც გასაგებია, სრულიად) დანარ-

ჩენი — ვერა.

ძალიან მეხმარები, გარდა იმისა, რომ შენ რომ არა, ენცენსპერგერს ვერ წავიკითხავდი, (ენებისადმი ჩემი საღვთო შური მოგეხსენება), კიდევ ის, რომ მიხარია, შენს გამოცდილებას ასე უშურველად რომ მთავაზობ. ჩაგეეკითხედა გეკამათები. ხომ გესმის, რატომაც?

დიდი მადლობა,
ქეთო

19.05.2008

ქეთო, გთხოვ, ერთ რამეზე შევთანხმდეთ: მე არაფერს ვაფასებ (მითუმეტეს არაფერს გიკრიტიკებ), მხოლოდ ჩემს გამოცდილებას და დაკვირვებებს გიზიარებ. შენ შეგიძლია ისინი გაიზიარო, შეგიძლია – არა. და კიდევ: მე არ მე-ხერხება (და არც ოდესმე მეხერხებოდა) ერთ-განზომილებიანი საკლასო თემების წერა, ამიტომ შთაბეჭდილებებს ხშირად მეტაფორულად (შენი ტერმინოლოგით – "ბუნდოვნად") ვაფიქ-სირებ, რითაც ადრესატს ამ მეტაფორების გავლით ჩემთან კომუნიკაციისკენ ვუბიძებ და ეს

ჩვენს ირგვლივ გაბატონებული ბუნდოვანებების პარალელურად მეორე ადამიანისთვის გულიად, ზედმეტი განმარტებების გარეშე სათქმელის გაზიარების საუკეთესო ფორმად წარმომიდგენია.

თითქმის ყველაფერში, რასაც მწერ, გათანხმები, მაგრამ ეს "ჭეშმარიტებები" ვერ გვიშველის, მათ არც პოეზიასთან და არც ჩემს სათქმელთან არაფერი აქვთ საერთო. უკიდურესობამდე რომ გავამარტივო ჩემი სათქმელი, ის ასეთ სახეს მიიღებს: პოეტს არ უნდა სჭირდებოდეს "ქაშით" იმის გამოთქმა, რისი გამოთქმაც "ფაფის" ფარგლებში შეიძლება; თუ ის იძულებულია, დაკარგული დროის პოეტური ძიება "ქაშის" მიგნებით დაასრულოს, მას მშობლიური ენაც ასე მოექცევა.

ყურადღება მიაქციე ერთ ნიუანსს: მე შეგნებულად არ ვსაუბრობ შენი ლექსების კონტექსტში მაღალ მატერიებზე და ფართო პორიზონტებზე, არც – იმ ევროპულ თუ ამერიკულ სულისკვეთებზე, რომელთა ქართული ტრანსფორმაციები დაუყონებლივ ტიპიურ ქართულ დაბნეულობებად გამოვლინდება ხოლმე. ვცდილობ პირნმინდად "შკოლარული" და ხაზგასმუ-

ლად ცალმხრივი ვიყო, რათა შენს სულიერ ძიებებში უნებლიერთაც კი არ ჩავერიო და არ ჩავდგე იმ "მასწავლებელთა" რიგებში, რომლებიც "მოწაფეებს" ათიდან ათივე შემთხვევაში საკუთარი პლატფორმისკენ უხმობენ ანუ მათ როგორც სახმარლირებულებას ისე განიხილავენ და არა როგორც მიზანს (საქართველოში მოკალმე-ებს შორის ურთიერთობის ასეთი კულტურა ისე დაიხვენა, რომ მის "სიკეთეს" უკვე ვეღარავინ ამჩნევს).

მე ვგრძნობ, შენ რა ველშიც ხარ მოხვედრილი შენი გამოუცდელობით (შენი "ოდინდელი" საპერფორმანსო ვნებები ერთის მხრივ, ხოლო პირველ სკოლაში მოსწავლეებთან შეხვედრა მეორეს მხრივ ბევრისმთქმელია!), მაგრამ ეს არ არის ჩემი საქმე. ქართველებს უყვართ მითები და ერთი ჩემი ყოფილი მეგობრის სიტყვებით რომ ვთქვა, მათ შუბლზე აწერიათ: "მომატყუუ!". მე მხოლოდ იმას ვხედავ, რომ შენ პოეტიკაში პრობლემებს იმარტივებ, ხოლო შენი თაობის ირგვლივ შექმნილი თვითნებობა, რომლის ასახსნელად ფრონიდზე შორს წასვლა არ არის საჭირო, თავისუფლება გვინია. უფრო მეტიც, ფიქრობ, რომ პოეტიკური სამუშაოებ-

ის კომპენსაცია სხვა გზებით არის შესაძლებელი. არ გისურვებდი, რომ მხოლოდ 20 წლის მე-რე გაგჩენოდა სინანული იმის გამო, რომ 20 წლის წინ სახლის შენება სახურავიდან დაიწყე (არ მიკვირს წინააღმდეგობა თეორიული განა-თლების მიღებისთვის შენს მონდომაბასა და პოეზიის ფრონტზე შენს დაბნეულობას შორის, ამ განტოლებებს შენ თავადაც მალე ამოხსნი).

თუ რამეს გისურვებ, პირველ რიგში იმას, რომ დრო არ დაკარგო. ამის თქმისკენ მიბიძ-გებს შენი შეგონება, რომ შეიძლება ფაქტი აღ-ბეჭდო და ეს ფაქტი გაცილებით მეტი იყოს და ა. შ. (და რომ ეს მეთოდოლოგიების პრობ-ლემაა და ა. შ.). მხოლოდ ერთს ვიტყვი და ამ საკითხს აღარ დავუბრუნდები: გამოუცდელ ადამიანებს ჰქონიათ, რომ გამოცდილი ადამი-ანები მართლაც ფაქტებს აღბეჭდავენ და ამ ფაქტებამდე მისასვლელი გზა ისეთივე სწორია, როგორც ორ წერტილს შორის გავლებული ხაზი. "ფაქტების აღბეჭდვის" შენმიერ გაგებაზე რომ დავდუმდე, თვით გალაკტიონის "მაქვს მკე-რდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა"-ს ფაქ-ტობრიობა, ეჭვი არ მეპარება, მხოლოდ იმას გულისხმობს, რაც, ერთი მხატვრის პერიფრაზ-

ირებით, ასე გამოითქმის: ყველა მხატვარი ხატავს ისე, როგორც მას უნდა, რჩეული კი – ისე, როგორც მას შეუძლია. გალაკტიონის "როგორც მინდა" ნიშნავს "როგორც შემიძლია"-ს, ოღონდ - საბჭოთა სიბრძეები ზუსტად გამოთქმულს.

გავლენის წყაროებისთვის თვალისმიდევნებაში ვგულისხმობდი, ერთის მხრივ, ამა თუ იმ იდეის ან პოეტიკის მიერ შენს ფიქრებში, ლტოლვებში, სიმპათიებში, აღტაცებებში, შინაგან ბიძგებში ამ გავლენის გაჩენის "დროისა" და "ადგილის" ძიებას (რადგან ხშირად ეს პირველი იმპულსები ქრება და ადგილს უთმობს მზამზარეულ ინსტრუმენტებს, რომლითაც თუნდაც ენცენსბერგერმა შეიძლება შეგაიარალოს), მეორეს მხრივ კი, აუცილებლად (აუცილებლად!), იმის გაცნობიერებას, რომ ნატურიდან იხატავ ყველაზე ღრმა გაგებით: მოთმინებით და იმის შეგნებით, რომ დადგება დრო, როცა ალარ გადაიხატავ მას მერე, როცა გადახატვის პროცესი ერთ დღესაც ნატურის შინაგან ხმას გაგაგონებს.

მაპატიე, თუ ვცდები, მაგრამ გამიჩდა განცდა, რომ შენ სათანადო დროს არ უთმობ კლასიკას, თუნდაც კლასიკურ ევროპულ პოეზიას, და

გირჩევნია დროის ხარჯვა უფრო "თანამედროვე" პულსაციებზე. ბერძნულ პოეზიას კი, როგორც პატიოსანმა ქართველმა სტუდენტმა, მხოლოდ ჩაუქროლე (რაც არა იმდენად შენს ხარვეზებზე, რამდენადაც საუნივერსიტეტო პედაგოგიის ხარვეზებზე მიმითითებს). მე მესმის, რომ თანამედროვედ ყოფნის მოდა სხვა სტანდარტების პატივისცემას მოითხოვს, მაგრამ, როგორც ვფიქრობ, შენი შინაგანი ბუნებით ამ აჩქარებული ადამიანებისგან შორს ხარ.

ფორმათქმნადობა ფორმათქმნადობაა და მეტი არაფერი. ყველგან, პოეზიაშიც და ცხოვრებაშიც. ეს არის სიბრტყული განზომილებიდან ხდომილებების, ფაქტების (პირველ რიგში, ფაქტებთან და ხდომილებებთან ავტორის შინაგანი მოძრაობების შეჯახების შედეგად წარმოქმნილი ახალი ხდომილებების) გამოთავისუფლება, გადარჩენა და მათთვის "სხვა არსებობის" მინიჭება (სხვათაშორის, ენცენსბერგის გამომცემლობას "სხვა ბიბლიოთეკა" ჰქვია), რაც მოითხოვს ლექსის კეთების კულტურის გამომუშავებას გოტფრიდ ბენის და მაიაკოვსკის გაგებით. ამ კულტურაზე ხშირად იქნება ლაპარაკი ჩემი "ავსტრიული პოეზიის" მრა-

ვალტომეულის დანართებში. შეიძლება არა-ფერი ისეთი მნიშვნელოვანი არ იყოს ლექსის-თვის, როგორც ის, რომ მასში სიტყვებმა და სიტყვათშეთანხმებებმა თავი შინ იგრძნონ (აქვე მინდა შემოგთავაზო, წაიკითხო ჰუგო ფრიდ-რიხის ნაშრომი "თანამედროვე ლირიკის სტრუქტურა", რომელიც ქართულად არსებობს და გამოქვეყნებულია "საუნჯის" რომელიღაც ნომრებში; გოტფრიდ ბენის უცნობილეს ესსე-საც მიაგნებ "საუნჯეში". რატომ გთავაზობ? როცა წაიკითხავ, მაშინ მიხვდები! არ მითხრა, რომ წაკითხული გაქვს).

...მე კი იმ "აზრზე ვდგავარ", რომ ხალხზე საერთოდ არ უნდა იფიქრო არც ლექსის წერის დროს და არც არასდროს, რათა უნებლიერთაც კი არ შეხედო ხალხს ზემოდან ან/და გვერდიდან. მე შემებრალა შენს მუჭში მომწყვდეული "წუხილები" და მაშინვე მათი გათავისუფლების სურვილი გამიჩნდა. როცა დანიშნულების ადგილებზე განაგრძე ლაპარაკი, ეს სურვილი კიდევ უფრო გამიმდაფრდა. თუმცა, ეჲ... ვგრძნობ, რომ გასაგებად ვერ გადმოგცემ ამ ყველაფერს. მე ახლა ერთ ახალ წიგნზე ვმუშაობ (ალბათ, დიდხანს ვერ დამავთავრებ)

და, ჩანს, რაღაცნაირად ვფრთხილობ, რომ სათქმელის ზედმეტმა გამარტივებებმა უკან არ დამხიოს. თითქოს ყოველ ჩემს ნაბიჯს ვუფრთხილდები. საერთოდაც, ახალმა პოეტურმა პროექტმა უკ-ვე შესამჩნევად გამომკეტა ჩემს თავში და შეიძლება ამიტომაც ნაკლებად ვითვალისწინებ კომუნიკაციის კონვენციურ მოთხოვნებს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ თუ სათანადოდ ვერ გიხსნი რამეს, არა იმიტომ, რომ ენერგიას ვუფრთხილდები, არამედ იმიტომ, რომ არ მინდა ჩემს მიმართ შენი ნდობა ადაპტირებული გამოთქმებით შეურაცხვყო ან შენი ლექსები "მომენტია-არ-მომენტიას" დავუქვემდებარო (ანუ შენი ნდობით ბოროტად ვისარგებლო). იმედია, მიმიხვდები ამას. ნუ იფიქრებ, რომ შეიძლება ერთი წამით მაინც დამავიწყდეს, რა მგრძნობიარეა ნებისმიერი ახალგაზრდა პოეტის ნერვები და როგორი განსაკუთრებულია მისი გულის აჩქარებები, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკუთარ ლექსებს უზიარებს იმას, ვის მგრძნობელობასაც იგი ენდობა.

ძალიან ვცდილობ არ გეხმარებოდე, მაგრამ შენი ნათქვამი მიდასტურებს, რომ ეს ცუდად

გამომდის.:))))
ნეულიმც ვიყო!
დათო

20.05.2008

აბა, რატომ თვლი, რომ მე შენგან ტრაფარე-
ტული შეფასებების მოსალოდნელობა მაქვს?
:) არც ერთი წუთით:))) პირიქით, დათო, ასეთი
შეფასებები ჩემთვის არასდროს ღირებული არ
ყოფილა, რა თქმა უნდა, უფასური გამონათქ-
ვამები არც არავის ზრდის და ყველას აინტერ-
ესებს დაუინტერესებელი ხედვა და რჩევები
მასზე უფრო გამოცდილი ადამიანისგან, ამაზე
არც ერთიახალგაზრდაავტორი არ იტყოდა
უარს:)

ყოველთვის, როცა შენს დამოკიდებულე-
ბებს მიზიარებ, მეშინია, არ წამოგცდეს, "როგ-
ორ უნდა", მაგრამ შენ მწერ, "როგორ არ უნდა",
ეს მიხარია, ამას ყოველთვის იმ სათავესთან
მივყავარ, რომელზეც შენ მწერდი:

ბევრ რამეზე გეთანხმები, ჩემი უნივერსი-
ტეტის უძრავობა არა მარტო იმაში მდგომარე-

ობდა, რომ "ნოვოე ვ ლინგვისტიკე"-ს აღმოჩენად ასაღებდნენ. (...) ძალიან დიდხანს ყველაზე პროგრესული კვლევა "სახისმეტყველებითი" ანალიზი მეგონა. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ეს საკმარისი არ იყო, მაგრამ მიქებდნენ ნამუშევარს და მეუბნებოდნენ, რომ ჩემი ასაკისთვის ძალიან ბევრი ვიცოდი. იზოლაციაში არასდროს არ ვყოფილვარ (კათედრაზე დარჩენაზე არასდროს მიოცნებია:), პირიქით, ვეძებდი, ვესწრებოდი თავისუფალ ლექციებს დაა.შ. მაგრამ არ მყოფნის ეს ამბავი და ამიტომაც ვამბობ, რომ წასვლა და სწავლა მინდა :) აი, ასე შემომაქვს დაწუნებული საკომუნიკაციო ლექსიკა და სინტაქსი შენს მაილებში :)

პირიქით, ძალიან მეხმარები და ეს შენც კარგად იცი:

ქეთო

29.05.2008

ლევანს არ ვიცნობ და მოკითხვას ვერ გადავცემდი, გული არ დაგწყდეს. უნივერსიტეტი კი არ ყოფილა, ევროპული აზროვნების შეს-

წავლის ინსტიტუტი თუ რაღაც ამგვარი. და
მგონი, ლევანი არ აკეთებს... დეზინფორმირე-
ბულგყავ :))

რომანტიკული ხედვა ძალიან ახლობელია
ჩემთვის, როცა ვკითხულობ, მაგრამ ასეთ სახ-
ებს ვერ "ვაკეთებ", ეს ესთეტიკა მაინც უცხოა.
ბოდლერის და მოდერნისტების სული რატომ-
ლაც უფრო მეახლობლება, მიუხედავად იმისა,
რომ ნაზი გოგო ვარ... ის სიმახინჯე უფრო მშობ-
ლიურია, თავისთავად, არ "ვაწვები" (ნელი ზა-
ქსაც ჰქონდა ასეთი რაღაცები, ძალიან ექსის-
ტენციური და შიშველი) :) მისტიკას ვერ ვიღებ
ისე ახლო იმდენად, რამდენადაც ბავშვობიდან
ამაზე გავიზარდე და ჩემი აზროვნების "კანო-
ნი" ეს იყო, სათამაშოებივით ვიცვლიდი ცნებ-
ებს "სიკვდილი", "არსებობა", "სასუფეველი",
"ღმერთი", "სიწმინდე" ... და ისე შევეჩვიე, რო-
გორც დედის, ან მამისრომელიმეტანსაცმელი,
ან მაგიდის გადასაფარებელი, რომელსაც იმდე-
ნი ხანია უყურებ, რომ ვერ იტყვი, რა ფერისაა
და რა ფორმებია მასზე გამოსახული... ხანდახ-
ან ვხვდები ხოლმე, რომ მათთან დროზე ადრე
შეხების გამო ეს სიტყვები თვალებზე გადამე-
კვრებიან და ცნებებთან მისვლაში ხელს მიშ-

ლიან. თუ არ ვცდები, ვალდორფის მეთოდია, მათემატიკას ასწავლიან მხოლოდ მოქმედებების შესრულებით და კანონზომიერებებზე დაყრდნობით და ძალიან გვიან შემოაქვთ სიმბოლოები.

ტექსტებს ვკითხულობ ბევრ-ბევრჯერ, არ დაგიმალავ, ენობრივად მიჭირს. (ისევ საკომუნიკაციო პრობლემა :))))))

ქეთო

30.05.2008

ქეთო, თუ "ასეთ სახეებს ვერ" ვაკეთებ", ეს ესთეტიკა მაინც უცხოა", მაშინ ბოდლერის და მოდერნისტების სულიროგორლა გეახლობლება? მგონი, ჩემს თარგმანებს უფრო იოლად დაძლევ, ვიდრე მე – შენს ამ ლოგიკას. თვალი რომ დავხუჭო "ესთეტიკისა" და "სულის" აშკარად სხვადასხვა წონით კატეგორიაზე და იმ უპირობო სიმართლესაც თავქუდმოგლეჯილმა ჩავუქროლო, რომ ხელოვნება ესთეტიკის საუფლოა და არა სულის, ერთ გასაოცარ გარემოებას მაინც ვერ ავცდებით: ბოდლერიც და მოდე-

რნისტებიც რატომღაც "კეთებას" იმაზე ათას-ჯერ მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე ეს ქართულ სამოთხეში წარმოგვიდგენია. ხოლო ერთი წამით იმასაც თუ წარმოვიდგენთ, თვით ბოდლერზე და მოდერნისტებზე რამდენათას-ჯერ მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ "კეთებას" ბოდლერის და მოდერნისტების წარმომშობი კულტურები და ამ კულტურებმა როგორი დივიდენტების ფასად აუნთეს თავიანთ გზებზე მწვანე შუქი ბოდლერს და მოდერნისტებს, მაშინ ჩვენი მიამიტობის სიღრმეები ჩვენში უსაზღვრო სევდის აღმძვრელი უფრო იქნება, ვიდრე – უსაზღვრო სიამოვნების. ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ: სული არის ყველგან, ესთეტიკა კი (ანტიესთეტიკის ჩათვლით) არის მხოლოდ იქ, სადაც არის ხელოვნება. პაუნდი, რომელიც არ აკეთებდა? ჯონისი, პრუსტი, პო, ბორხესი, ვერლენი, მილერი, სტაინი, ათობით სხვა მოდერნისტი, რომლებიც არ აკეთებდნენ? ამიტომ გთხოვთ პუგო ფრიდრიხის წაკითხვა. გუშინ, შენი წერილი რომ მივიღე, ვარედაქტირებდი ერთი ავსტრიული ტექსტის ქართულ თარგმანს, გამსჭვალულს მართლაც რომ არაგარანტირებული სულიერებით, და იქიდან მომაქვს შენთვის ეს

ციტატა: "რაოდენ თვალთმაქცი და ცბიერი გახ-
ლდათ ანრი რუსო, მევახშე, რომელმაც თავისი
ბოტანიკური ჩანახატები გადამალა, რათა თან-
ამედროვეთ პრიმიტივისტი მხატვრის სახით
წარსდგომოდა? ან კი რას ცვლის ეს ფაქტი მისი
შემოქმედების შეფასებისას? ან, თუნდაც, ჰემ-
ინგუეი, — ეს უბადრუკი ტორეადორი, ვისაც
ერჩივნა, ნერა-კითხვის უცოდინრად ჩაეთვ-
ალათ, ვიდრე მის მამაკაცურ ღირსებაში შეეტ-
ანათ ეჭვი, — არადა სინამდვილეში სხვა არავინ
იყო, თუ არა უაღრესად დისციპლინირებული
მწერალი. კუზიანი კიდევ უფრო იკუნტება, რა-
თა მართლაც „კუზიანად“ გამოჩნდეს, გლახა-
კი საჯაროდ ამზეურებს თავის ყველაზე უგ-
ვან ძონძებს. ყველა ამ გადამეტებაში, გარდა-
სახვისა და გამძაფრების ნიაღში მუდამ ადამი-
ანად ჩამოყალიბება, პიროვნული ფორმის ძერ-
ნვა იმაღლება. ეს არ უნდა დაგვავინყდეს. ასე
რომ არ იყოს, მეტისმეტად სწრაფად აგვიცრუ-
ვდებოდა გული, ისევე, როგორც სიყმანვილე-
ში, — როცა შევიტყეთ, რომ კუპერის პერსონ-
აჟებს სინამდვილეში არასოდეს უცხოვრიათ და
რომ პარმაში არასდროს ყოფილა კარტეზიან-
ული მონასტერი...".

მე არ ვფიქრობ, რომ შენ ნაზი გოგო ხარ. უბ-რალოდ, როგორც ხელოვნებაში ყველა ახალბე-დას, შენც იქითკენ მიგინევს გული, სადაც გარ-წმუნებენ, რომ სადაც კეთებაა, იქ სული არ არის და – პირიქით, სადაც სული და სიშიშვ-ლეა, იქ კეთება არ არის. შეიძლება ეს იმიტომ ხდება, რომ შენ გეჩვენება საყრდენი სხვაგან არის და არა შენში. ხელოვნებაში კანონები არ არსებობს და რჩება ის, რაც ზუსტია, ვიმეორ-ებ, რაც ზუსტია და ამის გამო – კარგად გაკეთე-ბულიც იმ მნიშვნელობით, რომელიც იგული-სხმება "კეთების" ბერძნულ გაგებაში. ხომ იცი, ყველას თავისი გამოცდილება აქვს. ჩემი გამო-ცდილება გამორიცხავს ეგზგიბიციონიზმს. არ ვამბობ, ეს კარგია ან ცუდია მეთქი. უბრალოდ, ჩემი გამოცდილება გამორიცხავს ამას. დამისა-ხელე ერთი ადამიანი მაინც დედამიწის ზურგ-ზე, რომელიც შენი აზრით არ ყოფილა ან არ-ის შიშველი და გავჩუმდები. დამისახელე ერთი ადამიანი მაინც, რომლის სული არ ყვირის, და გავჩუმდები. ვერაფერს მივუმატებ ერთი დიდი მოდერნისტის სიტყვებს: იოლია თქვა, რომ წვ-იმს. მაგრამ ძალიან ძნელია თქვა, როგორ წვიმს. მე ასევე ვფიქრობ, რომ შენ, უბრალოდ, დაბნე-

ულიხარ დაროცა ღრმად ჩაისუნთქავ დაროცა ლიტერატურის სამყაროში გადაეშვები, ეს დაბ-ნეულობა გაივლის, ხოლო მისგან დარჩება მხო-ლოდ ხსოვნა, და შენ ოდესმე აუცილებლად იფ-იქრება ამ ხსოვნის ობიექტის გადარჩენაზე ანუ აღწერაზე.

კარგო ქეთო, წერა უნდა შევწყვიტო, თორემ ჩამკეტავენ და დილამდე სამსახურში ყოფნა არ ამცდება... მომწერე.

დათო

03.06.2008

დათო, ვიცი ეგ ყველაფერი. გავჩუმდი.

ეტყობა რაღაც ისე ვერ ვთქვი. კეთება რომ სჭირდება ხელოვნებას, ეს ძალიან კარგად ვი-ცი, პრიმიტივიზმზე რომ მწერ, ისიც კი გამახსე-ნდა, პიკასოს სიტყვები, ბავშვივით ხატვაზე, მაგრამ მე ხომ ამაში არ გედავები? :)

ღერძი კი შეიძლება ზუსტად დაიჭირე, მაგ-რამ მე არ "ვფიქრობ" რომ ღერძი ჩემში არ უნ-და გავამყარო, ეს, ალბათ ნებისყოფის ამბავია...

ხოდა მაგას კი მეუბნებიან, ლექსი არ არის

კეთებაო, მაგრამ მე "არა-არა" მეთქი, ასე ვეუბნები:)))) უბრალოდ, ძალიან ცოტათი და მწვალებლურად მეფიქრება, რომ ცოდნა, დამუშავება ზოგჯერ, სუულ პანაწყნათი ხელს უშლის ხედვას, სმენას (ღმერთი, რჯული, ფუქსავატობას როდი ვიგულისხმებ?!?) იმის გაგებასა და დანახვაში, რასაც "ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან" (...)

19.06.2008

იცი, რა მინდა? მასტერკლასები რომ გაკეთებულიყო ლიტერატურაში... :)

20.06.2008

მასტერკლასები სკოლებში? (...)

21.06.2008

(...) დამწყები ავტორებისთვის რომ ჩაეტარებინათ (მათში მომიაზრეთ :-) ქეთო

23.06.2008

(...) იდეა რომ მშვენიერია, ამას თქმა არ უნდა. პირადად მე, ალბათ, დავიმალებოდი. 10 წელი ვკითხულობდი ლექციებს და ამ გამოცდილებამ მხოლოდ ის მასწავლა, რომ ვერავის ვერაფერს ვასწავლი და მომერიდებოდა კიდეც სხვებისთვის რეცეპტების შეთავაზება. გამოცდილების გასაზიარებლად კი, ჩემი დაკვირვებით, ასეთი აქციები ნაკლებ ეფექტურია იმ სივრცეში, რომელიც მოუწესრიგებელია. თუმცა, ვიცი, გამოჩენდებიან ადამიანები, რომლებიც ამ საქმისთვის გამოდგებიან.

მე სულ სხვა იდეა მაქვს რა ხანია და სიამოვნებით გაგიზიარებ უახლოეს მომავალში, თუ წინააღმდეგი არ იქნები, რომ საქმეში დიდი შრომა ჩადომანამ, სანამ გაირკვევა, ეს შენი შრომა იხილავს თუ არა დღის სინათლეს. რა თქმა უნდა, იდეის ამარა არ მიგატოვებდი და მხარდაჭერას აღმოგიჩენდი. ვინძლო, ერთი კარგი არასტანდარტული სახელმძღვანელო შესთავაზო უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს და სტუდენტებსაც კი. მე უკვე ვიზუალურად ვხედავ ამ წიგნს.

დათო

24.06.2008

სასწავლო სახელმძღვანელო?

რა თქმაუნდა, რაც უფრო აგროვებ, თუ შემ-
გროვებლობის სენით არ ხარ დაავადებული,
მით უფრო დიდ უაზრობად გეჩვენება, ალბათ,
გამოცდილების გაზიარება, მაგრამ ქვების შე-
გროვებას თავისი ჟამი აქვს :)

ჩემი იდეა არ გულისხმობს შენი გამოცდი-
ლების გაზიარებას, არამედ ზოგადი ლიტერატ-
ურული გამოცდილების გაზიარებას (პოეტიკა-
ში: სტილისტიკაში, მეთოდებში), ეს არ იქნება
უსარგებლო ქართული ლიტერატურისთვის, სა-
დაც მართლა დიდი ქაოსია. ის ინფორმაციული
საგიუჟეთი, რომელიც დღეს არის, რაღაცების
გადაფასებას საჭიროებს და ამ გადაფასებას
ცოდნა სჭირდება. ამ თაობას ალბათ არაფერი
ეშველება, სკოლის ასაკის და სტუდენტების-
თვის კიდროული იქნება:))

რა ვი, იფიქრე შენ.

იდეა ეს იყო, სახემძღვანელოზე?

24.06.2008

არა, იდეა ეს არ იყო. იდეა გულისხმობს უფროსი თაობის ჯერ კიდევ ცოცხალი ავტორების ინტერვიუირებას პოეტიკური, ბიოგრაფიული, სოციალური პრობლემების ურთიერთგადაკვეთით. შენ ამას შეძლებდი. გეგმის შედგენაში მე დაგეხმარებოდი, ალბათ დაახლოებით ერთი წელი საკმარისი იქნებოდა ამ პროექტზე სამუშაოდ. სისტემურად "დაკითხავდი" ოთარ ჭილაძეს, რეზო ჭეიშვილს, გურამ გეგეშიძეს, ვახტანგ ჯავახაძეს, ტარიელ ჭანტურიას და სხვებს. ეს იქნებოდა მხოლოდ დასაწყისი. მომდევნო წელს შეიძლებოდა მომდევნო თაობის წარმომადგენელთა ინტერვიუირება (თანაც, უკვე გამოცემული პირველი წიგნი რესპონდენტების მორიგ ჯგუფს მომზადებდა საპასუხოდ). "დაკითხვა" წერილობითაც იქნებოდა შესაძლებელი, რაც საქმეს გააიოლებდა. პირველი წიგნი რომ მომზადდეს, ალბათ არ გამიჭირდება სპონსორის მონახვა მის გამოსაცემად, თან მე თვითონ გამოვცემდი, შესაძლო მოგება და სავარაუდო კულტურული პერსპექტივები კი შენს აქტივში მოიყრიდა თავს. კითხვარი შეიძლება ისე

შეირჩეს, რომ წიგნი საქმიანიც იყოს, პრაქტიკული მეგზურიც, ფართო მკითხველისთვის საინტერესოც (ერთი-ორ უცხოენოვან წიგნზეც დაგაკვალიანებდი, რომელიც "დაკითხვის" კონკრეტული მეთოდიკის დასამუშავებლად გამოგადგებოდა). ოლონდ ესაა, მე ვერ ვიტან, როცა ხელოვნებაში წინასწარ გარანტიებს ითხოვენ. ასეთი გარანტიების მოცემა არავის შეუძლია. პროექტი კი ისეთია, რომ მისი ბეჯითად განხორციელების შემთხვევაში წიგნი შეუცვლელი იქნება, რაც უშუალოდ დაუკავშირდება შენს, როგორც ამ წიგნის ავტორის და საავტორო უფლებების მფლობელის ფაქტორს. აღარაყერს ვამბობიმ რეალურ გამოცდილებაზე, რომელიც წინ გელის. როგორც ხვდები, შენი პროექტი (თუ იდეა), რომელიც გამიზიარე, შენ აუცილებლად ჩაგაყენებს ჯინჭარაძის მდგომარეობაში და ქეიფი რომ დამთავრდება, ოცი მანქანიდან ერთში არ აღმოჩნდება ადგილი შინ შენს მისაყვანად ("არაჩვეულებრივი გამოფენიდან" ხომ გახსოვს), ჩემი პროექტი კი სწორედ შენი კულტურული ადგილის გაძლიერებას მოემსახურება და რაღაც ისეთს შევქმნით ერთად, რაც, უბრალოდ რომ ვთქვათ, დარჩება. მოკლ-

ედ, თუ დაგაინტერესებს ეს პროექტი, კონკრეტული გეგმარის შედგენაშიც დაგეხმარები, საერთო სტრატეგიის ჩამოყალიბებაშიც, კომუნიკაციის აწყობაშიც. შენი ქტივობების მიმართულებებზე დაკვირვება კი საბოლოოდ მარწმუნებს, რომ შენ სათანადოდ ვერ აფასებ ჩვენი მშობლიური "კულტურული" კონტექსტის მთელ ვერაგობას. ამიტომ ვაძლევ ჩემს თავს უფლებას შევნიშნო, რომ ვერც უწყინარი ქალური ეშმაკობა, რომ "შემოვლით" აჯობო ამ კონტექსტს და ვერც რეალური, **მძიმე და საგნობრივი** პროდუქციის შესაქმნელი ძალისხმევისთვის გვერდის ავლით თავის დამკვიდრებისკენ ლტოლვა წყურვილს ვერ მოგიკლავს. კულტურული კონტექსტი შეიძლება ძალიან სასტიკი იყოს, მაგრამ არა - უსამართლო, უკულტურო კონტექსტი კი, ანუ ქართული კონტექსტი, ყოველთვის უსამართლო და მზაკვრულია. არ არსებობს იმაზე დიდი შეცდომა, ვიდრე - სურვილი, რომ ვერაგი და მზაკვარი გააკეთილ-შობილო. ასეთი სურვილი თვით ამ სურვილის ამორფულობაზე და ამღვრეულ ბუნებაზე მიუთითებს. იქ, სადაც ყველა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ მეორე ადამიანი მხოლოდ საფეხუ-

რად აქციოს თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, სურვილების სინაზე და სინათლე ან მოჩვენებითია ან - მართლა ზედმეტად და უზნეოდ ნაზი. ვერც მე და ვერც შენ აქ უკეთეს სიტუაციას ვერ მოვესწრებით. მაგრამ თუ ამ ბოროტების შემცირება გვინდა, მაშინ საგანმანათლებლო ძალისხმევა ჩვენგან იმაზე მეტს მოითხოვს, ვიდრე ამა თუ იმ კეთილი მიზნით გამოუცდელი ადამიანების მიერ გამოცდილი ადამიანების დარაზმვა იქნებოდა. ჩემი პროექტი, მგონი, სხვა პერსპექტივას გპირდება. ხომ არ ვცდები?

დ.

26.06.2008

დათო, ძალიან დამაინტერესა იდეამ და ისიც კი ვიფიქრე, რომ ასეთი რამის გაკეთება ნამდვილად შემიძლია და მინდა. მაგრამ ერთი რამე უკან მექაჩება, ამ ერთი წლის განმავლობაში უნდა მოვძებნო რამე, სწავლის გასაგრძელებელი ადგილი ევროპაში... და საქმის წამოწყებას და შუაზე მიტოვებას არ ვარ მიჩვეული:)

საქმე კი მართლა დიდი და საჭიროა! ვინც ინტერვიუებს გააკეთებს და დაამუშავებს, იმ-ისთვისაც ძალიან სინტერესო და მკითხველებ-ისთვისაც. გაყიდვადიც იქნება. მე თუ ვერ გავა-კეთებდი, დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი მკი-თხველი ამ წიგნებისა.

მართალი რომ გითხრა, ჩემი დღევანდელი მზაობა არ მაიძულებს, რომ მაინცდამაინც სხვ-ების მისაღებ გამოცდილებებზე ვიზრუნო, ახ-ლა ყველაზე მეტად მართლა სწავლისთვის ვარ განწყობილი, შენი არ იყოს, საკუთარ თავზე და განწყობებზე ლაპარაკი არ მიყვარს და ისიც, როცა ჩემზე ვარაუდებს გამოთქვამს ვინმე, მა-გრამ ახლა ყველაზე მეტად კითხვა, სწავლა, შესრულება მენატრება...

(...)

ქეთო

12.07.2008

ვასო, გამარჯობა!

უნდა გაუწყო, რომ სამწუხაროდ კულტურ-ის სამინისტროს კონკურსში ჩემი ორი პროექ-

ტიდან ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა. ერთი იყო ვაინჭებერის ტომი, მეორე - ლავანტი-ბუსტა. ძალიან ლარიბული ბიუჯეტი მქონდა, ერთ გა-მომცემელს ძალიან გაუკვირდა და აღშფოთდა კიდეც.

რაკი კონკურსის შესახებ ინფორმაცია შენ-გან მქონდა, გემახსოვრება კონკურსის თემა "უცხოური მხატვრული ლიტერატურის თარგ-მნის მხარდასაჭერად", ხომ ასე იყო?

ანუ, ჟიურის წევრებს, სულ მცირე, ენის სპე-ციალისტებიც უნდა გამორეოდნენ, არა? თან, სულ მცირე, რამდენიმე ევროპული ენის.

აი, ჟიურის შემადგენლობა:

(...)

მევიკითხე, ამათგან რომელმა იცის გერმან-ული მეთქი. დამისეხელეს ერთ-ერთი ამათგანი. მე ვუპასუხე, რომ ეს ტყუილია და რომ ამათ-გან არც ერთმა გერმანული არ იცის.

თავი იმით იმართლეს, რომ ყველა ცნობილი გერმანისტი კონკურსში თავად მონაწილეობ-და და ინტერესთა კონფლიქტს აარიდეს თავი. ეს პასუხი, ალბათ, თვით ბუდას სიმშვიდესაც აამდვრევდა და რა გასაკვირია, მე რომ გამკვი-რვებოდა. თუ საუკეთესო მთარგმნელები მონ-

აწილეობდნენ, მით უმეტეს როგორ გაპედეთ ასეთი არაკომპეტენტური კომისიის შექმნა და მათვის შეურაცხყოფის მიყენება მეთქი.

მე ამ ფაქტს მხოლოდ კრიმინალური ფაქტის კვალიფიკაციას მივცემდი. სამინისტროს მხრიდანაც და უიურის წევრების მხრიდანაც.

მე ათობით და ასობით ასეთი მაგალითი ვიცი ჩემს თაობაშიც, უფრო პატარებშიც და უფრო დიდებშიც.

ამ ბოლო მაგალითით და მისი ჩემმიერი შეფასებით კი შენთვის მხოლოდ იმის ჩვენება მინდოდა, თუ რატომ ვერ მიტანს ვერავინ ჩემს თაობაში და რატომ არის ყველა დაგეშილი, რომ როგორმე ჩემი დისკრედიტაცია მოხდეს ჩემზე უბინძურესი ჭორების გეგმაზომიერი გავრცელებით, ჩემი მნიშვნელობის იგნორირებით ან ჩემი, როგორც ქედმაღალი და ამპარტავანი ადამიანის იმიჯის შექმნით. მაშინ ისინი მშვიდად იქნებიან და მათი მითებიც არ გაქრება. მაგრამ მათდა სამწუხაროდ ეს არ მოხდება. ჩემთან ხელი ხელს არასდროს ბანს. მე ასე არ მოვიქცეოდი და არ მოვიქცევი არასდროს არანაირი ფულის ფასად და არც იმ ხალხთან ვიმეგობრებ, ვინც ასე იქცევა. აი, ასეთი ფაქტების მიმართ ჩემს

ზიზღშია ჩემს მიმართ ზიზღის სათავე, სხვა დამალული და დაფარული არაფერი ხდება.

სამწუხაროდ, სინათლეზე ასეთი სიმართლის გამოტანას და სულელური მითების გაქრობას საქართველოში საუკუნეები სჭირდება. რაც თანამედროვე "ქართულ კულტურაში" ხდება, თაგვების და ბაყაყების ომია და მეტი არაფერი.

იმედია, არ მიწყენ, ამ უწყებას ორ კარგ ახალგაზრდა ადამიანსაც თუ გავუგზავნი, ქეთონინიძეს და გიორგი კეკელიძეს.

რაც შეეხება ვაინპებერის და ბუსტა-ლავანტის ტომებს, ისინი მაინც გამოვა და – იმაზე ბევრად ადრე, ვიდრე კულტ. სამინისტროს დახმარებით გამოვიდოდა. ჰონორარსაც მიიღებ, რაკი ჯერ ამ პროექტში უჰონორაროდ არავინ დამიტოვებია.

დათო

14.07.2008

არც კი ვიცი, რა უნდა გითხრა, აღვშეოთდი. რომ გითხრა, ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა

ის სიმართლე, რასაც ყოველთვის ვფიქრობდი—
მეთქი, ვერაფერი ნუგეში იქნება. მაგრამ, ალ-
ბათ, ჩვენი საქმიანობის მიზანი, გარდა იმისა,
რასაც ჩვენ ვსახავთ, ისიც არის, რომ რაღაც
კანონზომიერების ალსრულებაში მონაწილე-
ობას ვიღებთ. მესმის, რომ ძნელია იმ ადამი-
ანებისგან განპილება, რომელთაგან არ მოელი
და კიდევ უფრო, უყურო ამ უსამართლობას.
სინათლის კვალიც რომ არ ჩანს არსად... ამ
ქვეყანაში ძალიან სასტიკად უსწორდებიან სი-
მართლეს, შრომას, პატიოსნებას და ცოდნას.
ეს XIX საუკუნეშიც კარგად გამოჩნდა და მე-
ოცეს დასაწყისში "დაგვირგვინდა" ...

ჟურნალის გამოცემა რატომ შეწყვიტე? ძა-
ლიან საჭიროა (აუცილებელიც), რომ შენ და შე-
ნმა თანამოაზრებმა, თუ ფინანსურად ვინმე
ხელს შეგინყობთ, ახალგაზრდებთან იმუშაოთ,
იმასთან, ვისაც სწორი ორიენტირი სჭირდება.
ვერ დამაჯერებ, რომ ყველა იმ გზას გაჰყვება,
რაც შენი თაობის "ამაგდრებმა" აირჩიეს. იმის
ილუზია ვერ გექნება, რომ აიტაცებენ, მაგრამ
რაღაც ნაწილს ეს მართლა სჭირდება, დაეხ-
მარება, კურსს მიაგნებინებს. ამასთანავე და-
ფიქსირდება. ვინც საჭიროა, გამოგყვება :) მგ-

ლის შიშით...

(...) შენმა წერილმა თავზარი დამცა. (...) კი-
დევ ერთხელ ვრწმუნდები იმაში, რომ აქედან
უნდა გავიპარო :))) ვგრძნობ, რომ ცოტაც და
ამ მოდელს მოვერგები (ყველანაირი მნიშვნე-
ლობით). ნებისყოფაც არ მაქვს იმხელა, როგო-
რიც შენ, რომ უსამართლობას ასე შეუსვენებ-
ლად ვებრძოლო. ასე რომ, მალე ერთი სტანდა-
რტული გოგო ვიქნები და ჩემი ლექსებიც და
აზრებიც და სახიფათო აკვიატებებიც თვალებს
დახუჭავეთ :)

ძალიან მიხარია, რომ პირადად შენ იმ ადამ-
იანებზე არ ხარ, თუნდაც მატერიალურად დამ-
ოკიდებული. და არც შენი თარგმანები, რაც ჩე-
მთვის და ჩემი მეგობრებისთვის, ხომ იცი, რო-
გორი მნიშვნელოვანია...

აბა, შენ იცი

ქეთო

14.07.2008

კარგირა, ქეთო, რომელ უურნალზეა ლაპარ-
აკი, დილიდან საღამომდე სამსახურში ვარ გა-
მოკეტილი. მე შემოსავლის სხვა წყარო არა

მაქვს და თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ისეთი სამსახური მაქვს, სადაც, ასე თუ ისე, ლიტერატურის კულტურაში მომავალი თაობების ჩართვას ვემსახურები (თუმცა ჩემს პროექტებს უკვე დაადგეს თვალი). სამსახურის მერე (და შუადღის პაუზაზე), ასევე შაბათობით ლიტერატურაში ვიძირები, კვირადღე კი ჩემს ბავშვებს ეკუთვნით. უკვე აღარც მახსოვს, ბოლოს როდის დავისვენე. ეს ერთადერთი გზაა, რომ არც ფორმიდან ამოვვარდე, არც კონტექსტიდან, ჩემს გერმანელ (და არა მხოლოდ) მეგობრებთან კომუნიკაციაც მქონდეს, "ავსტრიული ლირიკის" პროექტსაც მივხედო, მარტოც ვიყო და წონასწორობაც შევინარჩუნო და, რაც უმთავრესია, ვწერო. სიგიჟეა ეს ყველაფერი! თუმცა, უკეთესად არც ჩემი გერმანელი მეგობრები ცხოვრობენ. რამდენიმე მოვლენამ კი საბოლოოდ გამიტეხა გული ჩემს თაობაზეც და ყველა იმ ადამიანზეც, ევროპულ პროექტებში რომელთა გაყვანაც მოვინდომე. ბინძური ისტორიებია და არ მინდა ამით დაგამძიმო, არც არის საჭირო. ჩათვალე, რომ ყველაფერში ჩემი ცუდი ხასიათია დამნაშავე და არა – მათი ამაღლებული და კეთილშობილი ბუნება. ასე რომ, ეს ის

მარტოობაა, რომელიც მე ჩემი თავისთვის არ
მისურვებია და არც ჩემს შემოქმედებით მარ-
ტოობასთან აქვს რამე საერთო. მე მომხმარებ-
ელთა და გამოყენებელთა სამყაროს არ ვეკუ-
თვნი და ეს უკვე ავტომატურად მმიჯნავს მათ-
გან (მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძალიან კარგი
ვარ; საერთოდ, ბოროტი არ ვარ, მაგრამ არც
ძალიან კეთილი ვარ, ჩემს უსამართლობას კი,
როგორც თემას, ჩემზე უკეთ ვერავინ დაამუშა-
ვებს)... ქეთო, გავედი, თორემ ჩამკეტავენ...

15.07.2008

ვიცი, რომ ძალიან დაკავებული ხარ, უბრალ-
ოდ კარგი იქნებოდა, ეს რომ მოხერხებულიყო.
იცი, რა მინდა გკითხო? ლიტერატურულ ან კუ-
ლტურულ პოლიტიკაზე რა შეიძლება წავიკით-
ხო.. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურ-
ული პერიოდიკის დასახელებებზე ვაპირებ მო-
ხსენების გაკეთებას და, ალბათ, პოლიტიკის
სივრცეს გადაკვეთს, გუმანით ვგრძნობ :))) და
არაფერი არ მაქვს წაკითხული ამ მიმართულე-
ბაში.

16.07.2008

ქეთო, შენი მიზნისთვის ამ ეტაპზე სავსებით საკმარისი იქნება აბრაამ მოლის "კულტურის სოციოდინამიკა", რომელიც საჯარო ბიბლიოთეკაში აქვთ რუსულად (თუ არ ექნათ, მეც მაქვს). ძველი წიგნია, მაგრამ როგორც საორიენტაციო საყრდენი შენთვის კარგი სახელმძღვანელო იქნება. რა თქმა უნდა, გამოგადგებოდა უსპენსკის ან თუნდაც ლოტმანის ბოლოს გამოცემული კრებულები (უსპენსკი სადღაც უნდა მქონდეს). გარდა ამისა, როლან ბარტის თუნდაც მხოლოდ ერთი ნაშრომი რუსულ ანთოლოგიაში "სემიოტიკა". 80-90-იან წლებში უფრო ვიწრო პროფილის შრომები იწერებოდა (გერმანული სამეცნიერო ჟურნალების მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ). ხელმისაწვდომი ლიტერატურიდან თუ რამე კიდევ გამახსენდა, მოგწერ. გარდა ამისა, არსებობს ამერიკული ლიტერატურის ისტორია (უფრო ზუსტად, "ლიტერატურული ისტორია") სამ ტომად რუსულ ენაზე, რომელიც თვით ამერიკელების მიერ არის დაწერილი და კარგად გამართული წიგნია არა მხოლოდ ცალკეული ავტორების, არამედ ლიტერა-

ტურქული ტენდენციების კონცეპტუალიზაციის მიმართულებით. საერთოდ, იმ სამუშაოსთვის, რომელსაც ასახელებ, ვფიქრობ, ეს სამტომეული უფრო ბევრს მოგცემს, ვიდრე ბარტიდა ლოტმანი.

დ.